- შპს „საქართველოს ფოსტის“ ფილიალი „ხობის ფოსტა“;
- სს „ენერგო პრო ჯორჯიას“ ხობის ფილიალი;
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოები.

ძირითადი ორგანო - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური უზრუნველყოფს:
- ოპერატიულ სამაშველო მოქმედებას; საავარიო-სამაშველო, საძიებო-სამაშველო და გადაუდებელი აღდგენითი სამუშაოების ძალებისა და საშუალებების გადანაწილებას;
- დაზიანების მასშტაბების, დაზარალებულთა რაოდენობის, საინჟინრო და სპეციალიზებული ტექნიკის რაოდენობის განსაზღვრას და სამაშველო სამუშაოებში ჩაბმას;
- პირველად სამედიცინო დახმარებას; მძიმე ავადმყოფების სხვა ქალაქებსა და სახელმწიფოებში შესაძლო ევაკუაციის ღონისძიებების შემუშავებას;
- საგანგებო სიტუაციების ზონის შემოფარგვლას და იზოლირებას;
- საგანგებო სიტუაციის ლოკალიზაციის სამუშაოებს;
- ხანძრის ქრობის სამუშაოებს.

დამხმარე ორგანოები:
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოები - უზრუნველყოფენ საავარიო-სამაშველო, საძიებო-სამაშველო და გადაუდებელი აღდგენითი სამუშაოების შესრულებისას დაზარალებულთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას;
- შპს „ხობი დასუფთავება და განათება“, შპს „ლაზიკა“ შპს „შარა-გზამშენი პირველი“ - კოორდინაციას უწევენ სამაშველო და საავარიო-აღდგენით სამუშაოებში ჩაბმული ძალების ტრანსპორტით უზრუნველყოფას;
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური - ახდენს საგანგებო სიტუაციების ზონაში შენობა-ნაგებობების მდგრადობას და განსაზღვრავს მათ ვარგისიანობას;
- შსს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს ხობის რაიონული პოლიციის სამმართველო საგანგებო სიტუაციების ზონაში ამყარებს საზოგადოებრივ წესრიგს და კრძალავს ავტოტრანსპორტის შესვლას, გარდა სპეციალური მანქანებისა; შემოფარგლავს და იცავს პერიმეტრს, აწარმოებს ბრძოლას მაროდიორობის წინააღმდეგ;
- შპს „სილქნეტის“ ხობის განყოფილება, შპს „საქართველოს ფოსტის“ ფილიალი „ხობის ფოსტა“, სს „ენერგო პროჯორჯიას“ ხობის ფილიალი - უწევს კოორდინაციას საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოების, საძიებო-სამაშველო, საავარიო-სამაშველო და საავარიო-აღდგენითი სამუშაოების ფორმირებას, ჯგუფებისა და სხვა მონაწილე უწყებების კავშირით უზრუნველყოფას, საგანგებო სიტუაციების ზონაში ენერგომომარაგების კომუნიკაციების საავარიო-აღდგენითი ჯგუფების მუშაობას.

ფუნქცია 5 - სატრანსპორტო უზუნველყოფა

საგანგებო დახმარების ფუნქციის ამოცანები:
- სატრანსპორტო უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;
- საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი საავტომობილო, სარკინიგზო საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა;
- ტრანსპორტის მოძრაობის რეგულირება და დაცვის უზრუნველყოფა.

პასუხისმგებელი უწყება:
ძირითადი ორგანო:
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური
დამხმარე ორგანოები:
- შპს „ლაზიკა“
- შპს „შავი ზღის ტერმინალი“
- სოფლტექსერვისი
- შპს „პრაიმ ბეტონი“
- შსს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს ხობის რაიონული პოლიციის სამმართველო
- კერძო სექტორი
- შპს „საქართველოს რკინიგზის“ ხობის რკინიგზის სადგური

ძირითადი ორგანო - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური უზრუნველყოფს:
- საგანგებო სიტუაციის შეფასებას, საჭირო რესურსების განსაზღვრას;
- საგანგებო შტაბისათვის ინფორმაციის მიწოდებას;
- საევაკუაციო ღონისძიებების ტრანსპორტით უზრუნველყოფას;
- ევაკუაციისათვის საჭირო ავტომანქანების მობილიზებას, შესაბამისი ავტოტრანსპორტის მობილიზებას ცხოველთა ევაკუაციისათვის;
- დაზარალებული მოსახლეობისათვის კვებით უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ავტოტრანსპორტის მობილიზებას.

დამხმარე ორგანოები:
- შპს „ლაზიკა“, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ხობის რკინიგზის სადგური, კერძო სექტორი - ახორციელებენ ტრანსპორტით უზრუნველყოფას ევაკუაციისათვის;
- შსს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს ხობის რაიონული პოლიციის სამმართველო - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების ზონებში სატრანსპორტო მოძრაობის რეგულირებას და ევაკუაციის მარშრუტებზე უსაფრთხო გადაადგილებას.

ფუნქცია 6 - სამედიცინო უზრუნველყოფა

საგანგებო დახმარების ფუნქციის ამოცანები:
- სამედიცინო უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია; საგანგებო სიტუაციების დროს სამედიცინო ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა;
- სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებების უზრუნველყოფა;
- გარდაცვლილთა აღრიცხვა;
- სამედიცინო ტრანსპორტის უზრუნველყოფა.

პასუხისმგებელი უწყება:
ძირითადი ორგანო:

- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური.
დამხმარე ორგანოები:
- ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“;
- ხობის რაიონული საავადმყოფო;
- შპს სასწრაფო დახმარება „03“;
- შსს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს ხობის რაიონული პოლიციის სამმართველო;
- შსს დაცვის პოლიცია;
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოები;
- სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველო;
- კერძო სააფთიაქო ქსელი;
- სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ხობის სამსახური.

ძირითადი ორგანო - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური უზრუნველყოფს:
- საგანგებო სიტუაციების ზონაში მოსახლეობის ჯანმრთელობის მონიტორინგს;
- სამედიცინო პერსონალის დაკომპლექტებას;
- სამედიცინო ტრანსპორტის მოთხოვნის კოორდინაციას;
- სამედიცინო აღჭურვილობის შეძენის, აწყობის და მიწოდების კოორდინაციას;
- დაზარალებულთა დანიშნულების პუნქტებში გაგზავნის ორგანიზებას;
- გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების გაწევას;
- ჰიგიენურ და ეპიდსაწინააღმდეგო ზედამხედველობას;
- მოსახლეობის წინასწარ შეტყობინებას სხვადასხვა სამედიცინო სამსახურის დისლოკაციის ადგილის შეცვლის თაობაზე.

დამხმარე ორგანოები:
- ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“, ხობის რაიონული საავადმყოფო, შპს სასწრაფო დახმარება „03“ - ახორციელებენ გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების გაწევას, დაზარალებულთა დანიშნულების პუნქტებში გადაყვანას;
- შსს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს ხობის რაიონული პოლიციის სამმართველო - უზრუნველყოფს ავადმყოფების ტრანსპორტირების მარშრუტებსა და სასწრაფო დახმარების მანქანების დაუბრკოლებლად გადაადგილებას, კარანტინის ტერიტორიის იზოლაციას და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოები (რწმუნებულები) - მონაწილეობენ საგანგებო სიტუაციების ზონაში დაზარალებულთათვის პირველადი სამედიცინო და სასწრაფო დახმარების აღმოჩენაში;
- სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველო - ახორციელებს კვების პროდუქტების, საკვები ნედლეულის კონტროლს და ექსპერტიზას. აწყობს დაზიანების კერებში ფიტო და ვეტერინალურ კარანტინებს, წყვეტს ავადმყოფების კვებით უზრუნველყოფის საკითხებს;
- კერძო სააფთიაქო ქსელი - ახორციელებს საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფას;
- სამოქალაქო რეეტრის სააგენტოს ხობის სამსახური - აწარმოებს საგანგებო სიტუაციის შედეგად გარდაცვლილთა სიკვდილის მიზეზების დოკუმენტირებას, ფოტოგადაღებას და აღრიცხვას, აგრეთვე გარდაცვლილთა რეგისტრაციას.

ფუნქცია 7 - ჰუმანიტარული მხარდაჭერის უზრუნველყოფა

საგანგებო დახმარების ფუნქციის ამოცანები:
- საგანგებო სიტუაციებში ჰუმანიტარული მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელების კოორდინაცია.

პასუხისმგებელი უწყება:
ძირითადი ორგანო:
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური.
დამხმარე ორგანოები:
- შსს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს ხობის რაიონული პოლიციის სამმართველო;
- კერძო სექტორი.

ძირითადი ორგანო - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური უზრუნველყოფს:
- საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის ჰუმანიტარული მხარდაჭერის ღონისძიებების შემუშავებას.

დამხმარე ორგანოები:
- შსს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს ხობის რაიონული პოლიციის სამმართველო - უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების ზონებში ჰუმანიტარული ტვირთების ტრანსპორტირების რეგულირებას და უსაფრთხოებას, ევაკუაციაში მხარდაჭერას;
- საქართველოს წყალმომარაგების კომპანიის ხობის სერვისცენტრი, კერძო სექტორი, სურსათის (ფქვილი, შაქარი, ზეთი და ა.შ.) საწყობები და მაღაზიები - უზრუნველყოფენ დაზარალებული მოსახლეობის სასმელი წყლის, საკვებისა და პირველადი მოხმრების საგნების მიწოდებას.

ფუნქცია 8 - მუნიციპალურ ხანძრებზე ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფა

საგანგებო დახმარების ფუნქციის ამოცანები:
- ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;
- სახანძრო ტექნიკის გადაადგილების უზრუნველყოფა;
- ტრანსპორტით უზრუნველყოფა;
- სამედიცინო უზრუნველყოფა.

პასუხისმგებელი უწყება:
ძირითადი ორგანო:
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახური
დამხმარე ორგანოები:
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური;
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური;
- ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“;
- შპს „ლაზიკა“;
- შპს „შავი ზღის ტერმინალი“;
- სოფლტექსერვისი;
- შპს „პრაიმ ბეტონი“;
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოები;

- შსს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს ხობის რაიონული პოლიციის სამმართველო.

ძირითადი ორგანო - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახური უზრუნველყოფს:
- ხანძარსაწინააღმდეგო ძალებისა და საშუალებების მოზიდვას და ხელმძღვანელობას;
- მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისათვის ზედამხედველობისა და კონტროლის უზრუნველყოფას;
- მოსახლეობის დროულ შეტყობინებას მოსალოდნელი საშიშროების შესახებ;
- სახანძრო-სამაშველო და საძიებო-სამაშველო სამუშაოების შესრულებას;
- ხანძრის ქრობას;
- სახანძრო ვითარების შეფასებას, ხანძრის წარმოშობის თვალსაზრისით ყველაზე საშიში ობიექტების მდგომარეობის შეფასებას;
- ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურების ყველა მოსამსახურის სადღეღამისო რეჟიმზე გადაყვანას, სარეზერვო ტექნიკის მზადყოფნაში მოყვანას და დაკომპლექტებას;
- ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან შემოსული შეტყობინების თანახმად სახანძრო-სამაშველო ძალების ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ორგანიზებას.

დამხმარე ორგანოები:
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური - ახორციელებს სახანძრო ვითარების შეფასებას, აგრეთვე ხანძრის ზონაში მოსახლეობის დაცვის ღონისძიებების მხარდაჭერას;
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილათა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოები, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“, ხობის რაიონული საავადმყოფო, შპს სასწრაფო დახმარება „03“ - უზრუნველყოფენ ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარების დროს პირველადი სამედიცინო სასწრაფო დახმარების აღმოჩენას და დაზარალებულების გადაყვანას სამედიცინო დაწესებულებებში;
- შპს „ლაზიკა“ - უზრუნველყოფს მოსახლეობის ტრანსპორტირებას;
- შსს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს ხობის რაიონული პოლიციის სამმართველო, შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სენაკის განყოფილების ობიექტების დაცვის დანაყოფი - უზრუნველყოფენ სახანძრო ტექნიკის დაუბრკოლებლად გადაადგილებას, საგანგებო სიტუაციის ზონის საზღვრების დაცვას და საზოგადოებრივ წესრიგს.

ფუნქცია 9 - ენერგომომარაგების უზრუნველყოფა

საგანგებო დახმარების ფუნქციის ამოცანები:
- ენერგომომარაგების უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;
- საგანგებო სიტუაციების დროს ენერგომომარაგების აღდგენითი ღონისძიებების უზრუნველყოფისთვის საჭირო ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა;
-ენერგომომარაგების ობიექტების დაცვის უზრუნველყოფა.

პასუხისმგებელი უწყება:
ძირითადი ორგანო:
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური.
დამხმარე ორგანოები:

- შსს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს ხობის რაიონული პოლიციის სამმართველო;
- შპს „ხობი დასუფთავება და განათება“;
- სს „ენერგო პრო ჯორჯიას“ ხობის ფილიალი.

ძირითადი ორგანო - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური უზრუნველყოფს:
- მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში ენერგომატარებლებზე ზედამხედველობას და კონტროლს;
- საავარიო-აღდგენითი და სხვა გადაუდებელი სამუშაოების შესრულებას ენერგომომარაგების კომუნიკაციებსა და ქსელებზე;
- საგანგებო სიტუაციების დროს ზარალის მასშტაბების შეფასებას, ყველაზე უფრო დაზარალებული უბნების განსაზღვრას;
- გაზის მაგისტრალის ავარიების შემთხვევაში საავარიო-აღდგენითი სამუშაოების შესრულებას;
- განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების ელექტროენერგიით მომარაგებას;
- ქალაქის შიგნით დაზიანებული კაბელების აღდგენას;
- ქალაქის მომმარაგებელი მაღალი ძაბვის საჰაერო ხაზების აღდგენას.

დამხმარე ორგანოები:
- შსს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს ხობის რაიონული პოლიციის სამმართველო, შსს სახელმწიფო დაცვის ხობის სამსახური - უზრუნველყოფენ საგანგებო სიტუაციების დროს ენერგომომარაგების სისტემების ობიექტების დაცვას;
- შპს „ხობი დასუფთავება და განათება“, სს „ენერგო პრო ჯორჯიას“ ხობის ფილიალი - მონაწილეობენ ენერგომომარაგების სისტემაში საავარიო-აღდგენითი სამუშაოების შესრულებაში.

ფუნქცია 10 - მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფა

საგანგებო დახმარების ფუნქციის ამოცანები:
- მცენარეთა და ცხოველთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია;
- მცენარეთა და ცხოველთა უსაფრთხოებისათვის საჭირო ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა;
- სასოფლო-სამეურნეო ობიექტების დაცვის უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი უწყება:
ძირითადი ორგანო:
- სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველო.
დამხმარე ორგანოები:
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახური;
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოები;
- შსს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს ხობის რაიონული პოლიციის სამმართველო;
- შპს „ლაზიკა“.

ძირითადი ორგანო - სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველო უზრუნველყოფს:
- საგანგებო სიტუაციების დროს ცხოველების საკვების საჭირო რესურსების გაანგარიშებას და მარაგის შექმნას;
- მცენარეთა და ცხოველთა დაცვის ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას;

- საჭიროების შემთხვევაში საგანგებო სიტუაციების ზონიდან პირუტყვის ევაკუაციის ორგანიზებას;
- საშიში ინფექციების გავრცელების თავიდან აცილების თაობაზე ზომების მიღებას და სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებას.

დამხმარე ორგანოები:
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახური, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოები - კოორდინაციას უწევენ სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებაში;
- შსს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს ხობის რაიონული პოლიციის სამმართველო - უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო ობიექტების დაცვას;
- შპს „ლაზიკა“ - კოორდინაციას უწევს ტრანსპორტით უზრუნველყოფას.

ფუნქცია 11 - მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

საგანგებო დახმარების ფუნქციის ამოცანები:
- მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია;
- ტრანსპორტითა და კავშირგაბმულობით უზრუნველყოფა;
- მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების დაცვის უზრუნველყოფა.

პასუხისმგებელი უწყება:
ძირითადი ორგანო:
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.
დამხმარე ორგანოები:
- ტერიტორიული მართვის ორგანოები;
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური;
- შპს „ლაზიკა“;
- შპს „შავი ზღვის ტერმინალი“;
- სოფლტექსერვისი;
- შპს „პრაიმ ბეტონი“;
- შპს „სილქნეტის“ ხობის განყოფილება;
- შპს „საქართველოს ფოსტის“ ფილიალი „ხობის ფოსტა“;
- შსს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს ხობის რაიონული პოლიციის სამმართველო;
- კერძო სექტორი.

ძირითადი ორგანო - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური უზრუნველყოფს:
- საგანგებო სიტუაციების დროს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების რაოდენობის განსაზღვრას;
- საძიებო-სამაშველო, საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელ სამუშაოებში საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განსაზღვრას;
- საგანგებო სიტუაციების ზონაში პირველადი მოხმარების ნივთებისა და სასიცოცხლო უზუნველყოფის საშუალებების (კარვები, თბილი ტანსაცმლის კომპლექტი, საბნები, ინდივიდუალური აფთიაქები და სხვ.) ორგანიზებას;
- დაზიანების ზონებში სამაშველო, საავარიო-აღდგენითი სამუშაოებისა და მომუშავე ტექნიკის საწვავ-საპოხი მასალების მარაგების შექმნის ორგანიზებას;
- დაზარალებული მოსახლეობის სამედიცინო დახმარების პუნქტებზე და მათი დროებით განსახლების ადგილებში წყლით, კვებით, სურსათითა და პირველადი მოხმარების სამრეწველო

საქონლით მომარაგებისათვის მარაგების შექმნას; მომარაგების მოძრავი პუნქტების შექმნის ორგანიზებას;
- დაზიანების კერაში სპეციალური რეზერვების საწყობების ორგანიზებას; ბენზინგასამართი სადგურების მდგომარეობის შეფასებას და გამოყენებას;

დამხმარე ორგანოები:
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოები, შპს „ლაზიკა“ - ახორციელებენ საგანგებო სიტუაციების ზონაში მატერიალური რესურსების გადაადგილებას საავტომობილო ტრანსპორტით უზრუნველყოფას;
- შპს „სილქნეტის“ ხობის განყოფილება, შპს „საქართველოს ფოსტის“ ფილიალი „ხობის ფოსტა“ - უზრუნველყოფენ კავშირგაბმულობას;
- შსს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს ხობის რაიონული პოლიციის სამმართველო - ახორციელებს მატერიალური რესურსების ტრანსპორტირების დროს მოძრაობის მარშრუტებზე დაუბრკოლებელი გადაადგილებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზუნველყოფას.

ფუნქცია 12 - საინჟინრო უზრუნველყოფა

საგანგებო დახმარების ფუნქციის ამოცანები:
- საგანგებო სიტუაციების საინჟინრო უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია;
- ინფრასტრუქტურის აღდგენა.

პასუხისმგებელი უწყება:
ძირითადი ორგანო:
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური
დამხმარე ორგანოები:
- შპს „ლაზიკა“;
- შპს „შავი ზღვის ტერმინალი“;
- სოფლტექსერვისი;
- შპს „პრაიმ ბეტონი“;
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოები;
- შპს „ხობი დასუფთავება და განათება“;
- კერძო სექტორი;
- შპს „შარა-გზამშენი პირველი“.

ძირითადი ორგანო - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური უზრუნველყოფს:
- საგანგებო სიტუაციის შეფასებას, საჭირო რესურსების განსაზღვრას;
- სამშენებლო ინფრასტრუქტურის მონიტორინგს და საგანგებო შტაბისათვის ინფორმაციის მიწოდებას;
- სათანადო უწყებებთან ერთად ზარალის ხარჯების განსაზღვრას;
- ქუჩების შესაძლო ჩამონაქცევების ადგილების განსაზღვრას, რომლებიც აფერხებს სატრანსპორტო მოძრაობას;
- საინჟინრო-ტექნიკური ნაგებობის მოსახლეობის თავშესაფრებად გამოყენების შესაძლებლობის განსაზღვრას;
- საინჟინრო, საავარიო-აღდგენითი ღონისძიებების განხორციელებას ნგრევის ზონაში;
- მიწისქვეშა კომუნიკაციების დაზიანების ან მწყობრიდან გამოსვლის უბნების განსაზღვრას.

დამხმარე ორგანოები:
- შპს „ლაზიკა“ - ახორციელებს საინჟინრო ნაგებობების, კომუნიკაციების, სპეციალური დანიშნულების შენობა-ნაგებობის, სატრანსპორტო მაგისტრალების, ენერგეტიკულ და საინფორმაციო სისტემებზე საგანგებო სიტუაციების დროს საინჟინრო ღონისძიებების ტრანსპორტით უზრუნველყოფას;
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოები, შპს „ხობი დასუფთავება და განათება“, შპს „შარა-გზამშენი პირველი“ და კერძო სექტორი - ახორციელებენ ინფრასტრუქტურის აღდგენას.

ფუნქცია 13 - სურსათითა და წყლით უზრუნველყოფა

საგანგებო დახმარების ფუნქციის ამოცანები:
- სასურსათო და წყლით უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია;
- საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი სასურსათო და წყლით უზრუნველყოფის ძალებისა და საშუალებების მზადყოფნის უზრუნველყოფა;
- სურსათისა და წყლის დაცვის უზრუნველყოფა.

პასუხისმგებელი უწყება:
ძირითადი ორგანო:
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური.
დამხმარე ორგანოები:
- სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველო;
- შპს „ლაზიკა“;
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოები;
- სს „ენერგო პრო ჯორჯიას“ ხობის ფილიალი;
- საქართველოს წყალმომარაგების კომპანიის ხობის სერვისცენტრი;
- კერძო სექტორი.

ძირითადი ორგანო - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური უზრუნველყოფს:
- საგანგებო სიტუაციების ზონაში სასურსათო რესურსებისა და საჭირო მარაგების განსაზღვრას;
- საველე კვების ბლოკების ფუნქციონირებას;
- სასმელი წყლისა და სურსათის უვნებლობისა და ხარისხის კონტროლს, რისკის ანალიზს, რომელიც მოიცავს რისკის შეფასებას, რისკის მართვას;
- საგანგებო სიტუაციების ზონებში სურსათისა და ცხოველის საკვების უვნებლობას.

დამხმარე ორგანოები:
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოები, სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველო - ახორციელებენ წყლის მობილური რეზერვუარების უზრუნველყოფას, სურსათისა და წყლის განაწილებას;
- შპს „ლაზიკა“ - უზრუნველყოფს სასურსათო პროდუქტების რესურსების ტრანსპორტირებას;
- საქართველოს წყალმომარაგების კომპანიის ხობის სერვისცენტრი, კერძო სექტორი - ახორციელებენ სასმელი წყლით, საკვებით და პირველადი მოხმარების საგნებით უზრუნველყოფას.

ფუნქცია 14 - კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა

საგანგებო დახმარების ფუნქციის ამოცანები:
- კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების უსაფრთხო ზონაში ევაკუაციის უზრუნველყოფის ძირითადი ღონისძიებების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია;
- საევაკუაციო ღონისძიებების დაცვის უზრუნველყოფა;
- ფინანსური ფასეულობების დაცვის უზრუნველყოფა.

პასუხისმგებელი უწყება:
ძირითადი ორგანო:
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.
დამხმარე ორგანოები:
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახური;
- შპს „ლაზიკა“;
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოები;
- შსს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს ხობის რაიონული პოლიციის სამმართველო;
- შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სენაკის განყოფილების ობიექტების დაცვის დანაყოფი;
- სს „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი.

ძირითადი ორგანო - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური უზრუნველყოფს:
- კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების დაცვის ღონისძიებების გატარებას; სპეციალური შეფუთვისა და დატვირთვის მიზნით ფორმირების მომზადებას;
- კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ტრანსპორტირებას;
- კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების განთავსების ობიექტების განსაზღვრას;
- რეკომენდაციების გაწევას კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციასთან დაკავშირებული საკითხების მომზადებასა და საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებაში.

დამხმარე ორგანოები:
- შპს „ლაზიკა“ - უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ტრანსპორტირებას;
- შსს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს ხობის რაიონული პოლიციის სამმართველო, შსს სახელმწიფო დაცვის ხობის სამსახური - ევაკუაციის მარშრუტებზე და გამგზავნ და მიმღებ პუნქტებში უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოები, სს „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი - ახორციელებენ ფინანსური ფასეულობების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე

დანართი 2
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2011 წლის 29 აგვისტოს N79 განკარგულებისა

ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ევაკუაციის გეგმა

I ნაწილი.

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების შეტყობინებისთანავე იწყება მოსახლეობის ევაკუაცია არსებული რეაგირების გეგმის შესაბამისად.
მძლავრი საწარმოო ავარიები გამოიწვევს მუშა-მოსამსახურეთა და მოსახლეობის დაზიანებას, შესაძლოა ობიექტებზე მოხდეს ძლიერ მოქმედი შხამიანი ნივთიერებების გადმოღვრა გარემოში, რაც გამოიწვევს ადგილმდებარეობის და გარემოს მოწამვლას. დასნებოვნების ზონაში შეიძლება მოექცეს მოსახლეობა რომლის რიცხვი შეადგენს 250 ადამიანს.
სწრაფაალებადი ნივთიერებების არსებობამ შეიძლება გამოიწვიოს ხანძარი, კერძო და სახელმწიფო ობიექტებზე, ხანძრის ლიკვიდაცია ხდება ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის მეშვეობით.
კოკისპირული წვიმების და თოვლის ინტენსიური დნობის პერიოდში ხდება მდინარე ხობის დონის მნიშვნელოვანი მომატება, რაც ქმნის დასახლებული პუნქტების დატბორვის საშიშროებას. საშიშროების შემთხვევაში უნდა განხორციელდეს დატბორილი და მეწყერსაშიში ზონებიდან მოსახლეობის, აგრეთვე პირუტყვის და შინაური ცხოველების ევაკუაცია.
დატბორვისა და მეწყერსაშიში ზონებიდან დაზარალებული მოსახლეობა, მუნიციპალიტეტის ძალებით და საშუალებებით ევაკუირებული იქნებიან ახლომდებარე დასახლებულ პუნქტებში, სადაც არ არსებობს სტიქიური უბედურების საშიშროება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესაძლოა ძლიერი ქარები (ქარიშხალი), რომლებმაც შეიძლება ზარალი მიაყენოს მუნიციპალიტეტში განთავსებულ ობიექტებს, მწყობრიდან გამოიყვანოს კომუნალურ-ენერგეტიკული ქსელი, დაირღვეს შეტყობინებისა და კავშირგაბმულობის სისტემები, გამოიწვიოს ხანძარი და ადამიანთა მსხვერპლი. ამასთან, ქუჩები და სატრანსპორტო მაგისტრალები შეიძლება ჩაიხერგოს შენობების, ნაგებობების ჩამონაქცევებით, სახურავების ნატეხებით, წაქცეული ხეებით, რაც შეაფერხებს ტრანსპორტისა და მაშველების მოძრაობას დაზიანებულ რაიონებში.
შესაძლო მსხვილი საწარმოო ავარიების, სტიქიური უბედურების შემცირების მიზნით მუნიციპალიტეტში უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:
ა) მოსახლეობის დასაცავად:
- ჩატარდეს ქიმიური დასნებოვნების ზონიდან 250 ადამიანის, დატბორვის, მეწყერსაშიში და ნგრევის ზონიდან - 2000 ადამიანის ევაკუაცია;
- სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებები.
ბ) მატერიალური ფასეულობების დასაცავად:
- მატერიალური ფასეულობების გამოტანა ნგრევის, დატბორვისა და მეწყერსაშიში ზონებიდან;
- ხანძრის შემცირების მიზნით ობიექტების, ტერიტორიების, ხის სწრაფად აალებადი კონსტრუქციების, გზების გაწმენდა, წყალსაცავების ავსება წყლით, მზადყოფნაში უნდა იქნეს მოყვანილი მუნიციპალური სახანძრო-სამაშველო ძალები და ინვენტარები.
სამაშველო და გადაუდებელი სამუშაოების აუცილებლობის წარმოქმნის შემთხვევაში მუშაობაში ჩაებას ხობის მუნიციპალიტეტის ძალები და საშუალებები.
სტიქიური უბედურებების, მსხვილი საწარმოო ავარიების და კატასტროფების შესაძლო მასშტაბების შეფასებიდან შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:
1. სტიქიური უბედურებებიდან ხობის მუნიციპალიტეტისათვის ყველაზე დამახასიათებელია კოკისპირული წვიმები, წყალდიდობა და ქარიშხალი, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანთა მსხვერპლი და მატერიალური ფასეულობების განადგურება.

2. შესაძლოა მოხდეს საწარმოო ავარიები, ძლიერმომქმედი შხამიანი ნივთიერებების გადმოღვრა ატმოსფეროში, რაც გამოიწვევს მუშა-მოსამსახურეთა და ობიექტებთან ახლო მდებარე მოსახლეობის დაზიანებას.
3. საწარმოო ავარიების, კატასტროფების, სტიქიური უბედურებების თავიდან აცილებასა და შემცირებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვითარების წინასწარ პროგნოზირებას, რაც გახდის შესაძლებელს:
- დროულად მოხდეს მოსახლეობის შეტყობინება და აუცილებლობის შემთხვევაში განხორციელდეს მათი ევაკუაცია;
- ორგანიზაცია გაეწიოს მატერიალური ფასეულობების გამოტანას;
- ჩატარდეს სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებები.
4. სტიქიური უბედურებების მიერ გამოწვეული ზარალის დროული ლიკვიდაციისათვის და მოსახლეობის უშიშროების უზრუნველსაყოფად შეტყობინების და კავშირის სისტემები უნდა იმყოფებოდეს მუდმივ მზადყოფნაში.

II ნაწილი.

მსხვილი საწარმოო ავარიების, კატასტროფების და სტიქიური უბედურებების წარმოქმნის შემთხვევაში ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შტაბის მიერ ღონისძიებების ჩატარება

მსხვილი საწარმოო ავარიების, კატასტროფების და სტიქიური უბედურებების წარმოქმნის შემთხვევაში მართვის ორგანოების, სამაშველო ჯგუფების, მუშა-მოსამსახურეების და დანარჩენი მოსახლეობის შესატყობინებლად მოქმედებაში მოყვანილ იქნეს შეტყობინების და კავშირის ყველა ტექნიკური საშუალება.
სიგნალები დადგინდეს:
ძლიერ მოქმედი შხამიანი ნივთიერებების გადმოღვრის შემთხვევაში - ხშირი სირენის სიგნალები და ტექსტი რადიო და ტელესატრანსლაციო ქსელით;
ხანძრის შემთხვევაში - ხანგრძლივი სირენის სიგნალები სახანძრო ავტომობილების მეშვეობით და ტექსტი რადიო და ტელესატრანსლაციო ქსელით;
წყალდიდობის შემთხვევაში - სირენის წყვეტილი სიგნალები ავტოტრანსპორტის მეშვეობით.

იმ ობიექტების და უბნების დაზვერვა და მეთვალყურეობა, სადაც წარმოიშვება საშიშროება, ხორციელდება ობიექტის ძალებისა და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის მიერ.
დაზვერვის მონაცემები წარმოდგენილ იქნეს სტიქიურ უბედურებასთან მებრძოლ ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შტაბში (შემდგომში - „საგანგებო შტაბი“), სადაც ხორციელდება მონაცემების დამუშავება და გადაწყვეტილებების მიღება.
მსხვილი საწარმოო ავარიების, კატასტროფების და სტიქიური უბედურებების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:
- ჩატარდეს შექმნილი ვითარების შესახებ საგანგებო შტაბის სხდომა.
- არსებული შეტყობინების და კავშირგაბმულობის საშუალებებით შექმნილი საშიშროების შესახებ ეცნობოს: მმართველობით ორგანოებს, სახანძრო-სამაშველო სამსახურს, ობიექტებთან ახლოს მცხოვრებ მოსახლეობას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სამხედრო ბაზას.
- განხორციელდეს მოსახლეობის სასწრაფო ევაკუაცია.
- მოყვანილ იქნეს მზადყოფნაში სამაშველო ჯგუფები.
- 24 საათის განმავლობაში მოყვანილ იქნეს მზადყოფნაში 1 თავშესაფარი, რომელიც განსაზღვრულია 1300 ადამიანზე, სარდაფები 25/5000 ადამიანზე, აუცილებლობის შემთხვევაში საჭიროა საცხოვრებელი ბინების ჰერმეტიზაცია და მოსახლეობის შეფარება.

- 4 საათის განმავლობაში მოყვანილ იქნეს მზადყოფნაში ავტოკოლონა საშიში ზონებიდან მოსახლეობის ევაკუაციისათვის.
- ჩატარდეს სახანძრო პროფილაქტიკური ღონისძიებები.
- დაჩქარდეს ინჟინრულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელება, რომელიც დაკავშირებულია წარმოების ტექნოლოგიასთან, არსებული ინჟინრული ნაგებობების გამაგრებასთან ან ახლოს აშენებასთან და სხვა ღონისძიებებთან.
- ორგანიზაცია გაეწიოს სამუშაოებს ადამიანების გადასარჩენად, დაზარალებულებს გაეწიოს სამედიცინო დახმარება და მოხდეს მათი ევაკუაცია რაიონულ საავადმყოფოში.
- საზოგადოებრივი წესრიგის სამსახურს ეთხოვოს დასნებოვნებული და დანგრეული ზონების გარსშემორტყმა.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის უფროსმა:
- გაატაროს ღონისძიებები ხანძრის ჩასაქრობად, ძლიერმოქმედი ნივთიერებების ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციისათვის.

ეთხოვოს შპს „ლაზიკას“:
- გამოყოს ავტოტრანსპორტის აუცილებელი რაოდენობა.

ავარიების, კატასტროფების, სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციაში და მაშველი სამუშაოების ჩატარებაში უნდა ჩაებას:
- ობიექტების მუშა-მოსამსახურეები;
- სამაშველო ჯგუფები, რეზერვისტები;
- სახანძრო და სამაშველო მანქანები.

ქარიშხალის წარმოქმნის შემთხვევაში:
ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყველაზე საშიში და დამანგრეველი სტიქიური უბედურებაა – ქარიშხალი, იგი შეიძლება წარმოიქმნას მოულოდნელად და გამოიყვანოს მწყობრიდან კომუნალურ-ენერგეტიკული კონსტრუქციები, მოგლიჯოს შენობების და ნაგებობების სახურავები, გამოიწვიოს შენობების დანგრევა და მასიური ხანძრები.
ქარიშხალის მიერ გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციისათვის ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელმძღვანელობამ აუცილებელია განახორციელოს;
- ჩატარდეს საგანგებო შტაბის სასწრაფო სხდომა;
- დაზუსტდეს მაშველთა პირადი შემადგენლობა, ტექნიკის, მექანიზმების წესრიგში ყოფნა;
- უნდა ჩატარდეს მთლიანად მუნიციპალიტეტის დაზვერვა, იმისათვის რომ დაზუსტდეს სტიქიური უბედურებების საზღვარი, მოცულობა და ნგრევის ხარისხი;
- დაზვერვის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე განისაზღვროს სამაშველო და გადაუდებელი საავარიო-აღდგენითი სამუშაოები მონაწილე ძალების რიცხვი და მათი ამოცანები;
- მიეცეს მითითებები მაშველთა ჯგუფებს, მუშა-მოსამსახურეებს, მოსახლეობას, რომლებიც მონაწილეობენ მაშველი და გადაუდებელი სამუშაოების ჩატარებაში. განხორციელდეს ადამიანთა გამოყვანა დანგრეული კონსტრუქციებიდან და ცეცხლმოკიდებული შენობებიდან;
- ორგანიზაცია გაეწიოს ძალების მართვას მაშველი და სხვა გადაუდებელი საავარიო-აღდგენითი სამუშაოების პროცესში;
- დაადგინოს პირადი შემადგენლობის კვების რეჟიმი;
- თვალყური ედევნოს პირადი შემადგენლობის უსაფრთხოების ღონისძიებების შენარჩუნებას;
- ჩატარდეს შესრულებული სამუშაოების და პირადი შემადგენლობის დანაკარგების აღრიცხვა და გაკეთდეს მოხსენება და ეცნობოს შსს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს ტელ: 832 752085; ფაქსი: 832 754229; მობ: 599-51-12-59.

წყალდიდობის წარმოქმნის შემთხვევაში:
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალდიდობა შეიძლება გამოიწვიოს კოკისპირულმა წვიმებმა, თოვლის ინტენსიურმა დნობამ, რაც გამოიწვევს მუნიციპალიტეტში გამავალ მდინარეზე წყლის დონის მნიშვნელოვან მომატებას.
ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უნდა გაატაროს დატბორვის ზონაში ღონისძიებები, რომელიც მიმართული იქნება წყალდიდობის შედეგების შესამცირებლად.
- მოსალოდნელი წყალდიდობის შესახებ ეცნობოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას და საკრებულოს, სამხედრო ნაწილს, მოსახლეობას არსებული შეტყობინების და კავშირის საშუალებების გამოყენებით.
ჩატარდეს საგანგებო შტაბის სასწრაფო სხდომა:
- დაწესდეს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ხელმძღვანელი შემადგენლობის და საგანგებო შტაბის წევრების სადღეღამისო მორიგეობა.
- მომზადდეს ყველა სამაშველო საშუალებები და შესაძლო დატბორვის ზონაში მათი დროული მიწოდება. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურმა უნდა იქონიოს მუდმივი კავშირი იმ უბნებთან, რომლებსაც ემუქრება წყალდიდობის საფრთხე, ურთიერთმოქმედება სამხედრო ბაზასთან და საქართველოს შსს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტთან.

საგანგებო სიტუაციების ძალებისა და საშუალებების მოქმედების უზრუნველყოფა მაშველი და სხვა გადაუდებელი საშუალებების და აგრეთვე მოსახლეობის მატერიალურ ფასეულობათა დაცვის ღონისძიებების ჩასატარებლად

დაზვერვის ჩატარებაში მონაწილეობენ სადაზვერვო ჯგუფები:
- დაზვერვის შედეგების გადაცემა განხორციელდეს არსებული კავშირის საშუალებებით ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურში, დაზვერვის შედეგად მიღებული მონაცემების შესწავლა და განზოგადოება განხორციელდეს საგანგებო შტაბის სხდომაზე.

ინჟინრული უზრუნველყოფა:
განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები – სატრანსპორტო კომუნიკაციების აღმოფხვრა, ხიდების, ჯებირების შეკეთება და აღდგენა, კომუნალურ ენერგეტიკულ და ტექნოლოგიურ ქსელებზე ავარიების ლიკვიდაცია, ძალებისა და საშუალებების მიწოდება დაზარალებულ ობიექტებზე. სამუშაოები განხორციელდეს მოკლე ვადაში.

ქიმსაწინააღმდეგო დაცვა:
გაეცეს ინდივიდუალური დაცვის საშუალებები ობიექტებს, რომლებსაც გააჩნიათ ძლიერმომქმედი შხამიანი ნივთიერებები (ამიაკი, ქლორი). განხორციელდეს დასნებოვნებული ზონის ქიმიური დაზვერვა, დადგინდეს და განისაზღვროს მათი საზღვრები. ჩატარდეს მოსახლეობის ევაკუაცია დასნებოვნებული ზონიდან. პასუხისმგებელი ობიექტების ხელმძღვანელები, რომლებიც იყენებენ ძლიერ მომქმედ შხამიან ნივთიერებებს.

სამედიცინო უზრუნველყოფა:
მოყვანილ იქნეს მზადყოფნაში სამედიცინო პერსონალი. აუცილებლობის შემთხვევაში პირველი სამედიცინო დახმარება გაეწიოს დაზარალებულ მოსახლეობას. ჩატარდეს სტიქიური უბედურებების, მსხვილი საწარმოო ავარიების, კატასტროფების ადგილებში სამკურნალო - ჰიგიენური ღონისძიებები.
პასუხისმგებელი - ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“.

სახანძრო-სამაშველო ღონისძიებები:

სტიქიური უბედურებების შემთხვევაში გატარდეს ღონისძიებები სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამუშაოების ჩასატარებლად.
პასუხისმგებელი - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახური.

სატრანსპორტო უზრუნველყოფა:
სტიქიური უბედურებების ზონიდან მოხდეს მოსახლეობის გაყვანა, მატერიალური ფასეულობების, პროდუქტების და მოსახლეობის პირადი ნივთების გატანა.
გამოიყოს ავტოტრანსპორტის აუცილებელი რაოდენობა მოსახლეობის გამოსაყვანად უბედურების ზონიდან.
პასუხისმგებელი – შპს „ლაზიკას“ ხელმძღვანელობა.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა:
ადგილებში, სადაც მიმდინარეობს სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოები, აგრეთვე ევაკუირებული და დაზარალებული მოსახლეობის განაწილების ადგილებში დაცული უნდა იყოს საზოგადოებრივი წესრიგი.
სტიქიური უბედურების ადგილებში განხორციელდეს მოსახლეობის პირადი ქონების და მატერიალური ფასეულობების დაცვა.
განხორციელდეს ქიმიური დასნებოვნებული ზონის გარშემორტყმა და ევაკუაციის მარშრუტებზე მოძრაობის რეგულირება.
პასუხისმგებელი – შსს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს ხობის რაიონული პოლიციის სამმართველო.

საგანგებო სიტუაციების ღონისძიებების მართვა:
მუნიციპალიტეტის საგანგებო სიტუაციების ღონისძიებების მართვა განხორციელდეს მართვის პუნქტიდან ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან.
საგანგებო შტაბის სამუშაო ადგილი - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა.
მართვის პუნქტის შეტყობინებისა და კავშირგაბმულობის საშუალებები იმყოფებოდეს წესრიგში და მუდმივ მზადყოფნაში. გატარებული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად გამოყენებული უნდა იქნეს ყველა არსებული კავშირგაბმულობის საშუალება. სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის საქართველოს შსს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტთან არსებული კავშირებია – სატელეფონო, სამხედრო ბაზასთან - სატელეფონო, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურთან - სატელეფონო, მუნიციპალიტეტის ობიექტებთან - სატელეფონო. მოსახლეობის შეტყობინება ხდება მეგაფონებით, ხმამაღლა მოლაპარაკე საშუალებებით, შიკრიკების მეშვეობით.
საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში სამაშველო ჯგუფების, მუშა-მოსამსახურეების, მოსახლეობის შეტყობინება და ინფორმაცია სტიქიური უბედურებების, ავარიების, კატასტროფების ადგილებში მათი მოქმედების და მოქცევის შესახებ ხორციელდება შეტყობინების, კავშირის სისტემების და სხვა საინფორმაციო საშუალებებით.

საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე

დანართი 3
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2011 წლის 29 აგვისტოს N79 განკარგულებისა

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შტაბის შემადგენლობა

საგანგებო შტაბის ხელმძღვანელი - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი - იგორ ტყებუჩავა (ტელ: 577 959494);
საგანგებო შტაბის წევრები:
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის უფროსი - გოჩა არაჩემია (ტელ: 577 959469);
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის უფროსი - ზაზა კუპრეიშვილი (ტელ: 577 959468);
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი - ჯულიეტა ქვარაია (ტელ: 577 955467);
- შსს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს ხობის რაიონული პოლიციის სამმართველოს უფროსი - ლექსო რაფავა (ტელ: 577 529649);
- შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სენაკის განყოფილების ობიექტების დაცვის დანაყოფის ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინსპექტორი - ვალერი შელია (ტელ: 577 609406);
- ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი - ხათუნა გერგაია (ტელ: 599 794747);
- სს „ენერგო პრო ჯორჯიას“ ხობის ფილიალის დირექტორი - ზურაბ ბერაია (577 358900);
- სს „შარა-გზამშენი პირველის“ დირექტორი - გულადი ბერაია (ტელ: 595 183838);
- შპს „ხობი დასუთავება და განათებას“ დირექტორი - ნუკრი წოწონავა (ტელ: 579 834477);
- სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს სპეციალისტი ხობის მუნიციპალიტეტში - ვიტალი შუბითიძე (ტელ: 591 996519);
- შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ხობის სერვისცენტრის მენეჯერი - ილია სალია (ტელ: 577 38-07-01);
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - დავით ჭოჭუა (ტელ: 577 959465);
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი - შოლინა კანკია (ტელ: 577 959466);
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი - იური ბუკია (ტელ: 577 955947);
- სს „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალის უფროსი - ლაჟვარდ ბუკია (ტელ: 595 512985);
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - ბესიკ ნაჭყებია (ტელ: 577 959463)
- ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელები -გამგეობის რწმუნებულები.

საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე

დანართი 4
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2011 წლის 29 აგვისტოს N79 განკარგულებისა

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საშიში ობიექტების ნუსხა

1. შპს „ყულევის ტერმინალი“.
2. შპს „ბეღელი“ - საწვავის მარაგი.
3. კერძო ბენზინგასამართი სადგურები - საწვავის მარაგი.
4. შპს „შარა-გზამშენი პირველი“ - ასფალტის დამამზადებელი ქარხანა - ადვილად აალებად ნივთიერებათა მარაგი.
5. შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“.

საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე

დანართი 5
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2011 წლის 29 აგვისტოს N79 განკარგულებისა

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპეციალური ტექნიკისა და ტრანსპორტის ნუსხა

რეგიონი	მუნიციპალიტეტის დასახელება	სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი	ტრანსპორტისა და საინჟინრო ტექნიკის სახეობა	საერთო რაოდენობა	სახელმწიფო სექტორი	კერძო სექტორი
სამეგრელო	ხობი	8184-GAU	სახანძრო ავტომანქანა	1	1	
სამეგრელო	ხობი	QIQ-896	სახანძრო ავტომანქანა	1	1	
სამეგრელო	ხობი	SPS-507	სამაშველო ავტომანქანა	1	1	

ავტოსატრანსპორტო საშუალებათა სრული ჩამონათვალი

N	ადმინისტრაციული ერთეული	სატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო ნომერი	ტრანსპორტისა და საინჟინრო ტექნიკის სახეობა	საერთო რაოდენობა	სახელმწიფო სექტორი	კერძო სექტორი
1.	ხობი	TIA-755	ტოიოტა ჰაილუქსი		შსს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს ხობის რაიონული პოლიციის სამმართველო	
2.	ხობი	CDC-285	ტოიოტა ჰაილუქსი		შსს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს ხობის რაიონული პოლიციის სამმართველო	
3.	ხობი	AIA-457	ნივა 21213		შსს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს ხობის რაიონული პოლიციის სამმართველო	
4.	ხობი	NUG-451	ფორდი			
5.	ხობი	ICI-799	ფორდი			
6.	ხობი	LTL-232	ფორდი			
7.	ხობი	APP-318	ფორდი			
8.	ხობი	QIO-621	ფორდი			
9.	ხობი	QSQ-728	ფორდი			
10.	ხეთა	YTY-660	ფორდი			
11.	ქვემო ქვალონი	SNS-568	ფორდ ტრანზიტი			

12.	ქვემო ქვალონი	AAS-052	ფორდი			
13.	ქვემო ქვალონი	BOX-898	ფორდი			
14.	ქვემო ქვალონი	TYT-596	ფორდი			
15.	პირველი ხორგა	BMS-023	ფორდ ტრანზიტი			
16.	ძველი ხიბულა	IUR-905	ფორდ ტრანზიტი			
17.	ძველი ხიბულა	DBR-798	ფორდი			
18.	ძველი ხიბულა	FAY-379	გაზელი			
19.	ძველი ხიბულა	FAN-972	რაფი			
20.	პირველი მაისი	ZYG-794	პაზ			
21.	პირველი მაისი	ZYG-795	პაზ.672			
22.	პირველი მაისი	LIG-423	მერსედესი			
23.	პირველი მაისი	DAG-828	ფორდი			
24.	საჯიჯაო	ITI-187	ფორდ ტრანზიტი			
25.	საჯიჯაო	QIQ-909	მერსედესი			
26.	საჯიჯაო	GAS-968	ფორდ ტრანზიტი			
27.	საჯიჯაო	TAM-573	ფორდ ტრანზიტი			
28.	საჯიჯაო	VOO-587	ფორდ ტრანზიტი			
29.	საჯიჯაო	BMW-637	ფორდ ტრანზიტი			
30.	საჯიჯაო	MMA-498	მერსედესი			
31.	საჯიჯაო	BOO-037	ფორდ			
32.	საჯიჯაო	WAW-695	ფორდ ტრანზიტი			
33.	საჯიჯაო	LTL-232	ფორდ ტრანზიტი			
34.	ჭალადიდი	LTL-076	ფორდი			
35.	ქარიატა	AHA-993	მიკროავტობუსი ფორდი			
36.	ქარიატა	MCM-316	მიკროავტობუსი ფორდი			
37.	ქარიატა	FAN-467	მიკროავტობუსი ფორდი			
38.	ქარიატა	LIK-421	მიკროავტობუსი მერსედესი			
39.	ქარიატა	LTL-180	მიკროავტობუსი ფორდი			
40.	ხამისკური	IUR-388	ფორდი			
41.	ხამისკური	DHL-512	ფორდი			
42.	ახალსოფელი	XTX-412	მერსედეს-ბენცი			
43.	ახალსოფელი	ICI-799	ფორდ ტრანზიტი			
44.	ახალსოფელი	OGO-071	ფორდ ტრანზიტი			
45.	თორსა-დღვაბა	TIS-214	ფორდი			
46.	თორსა-დღვაბა	TBS-617	ფორდი			
47.	თორსა-დღვაბა	PSP-386	ფორდი			
48.	თორსა-დღვაბა	SYS-227	ფორდი			
49.	ნოჯიხევი	FEF-094	ფორდი			
50.	ნოჯიხევი	HEH-345	ფორდი			

51.	ნოჯიხევი	FEF-094	ფორდი			
52.	ნოჯიხევი	QIQ-824	ფორდი			
53.	პატარა ფოთი	PAP-494	ფორდი			
54.	პატარა ფოთი	BCO-463	ფორდი			
55.	პატარა ფოთი	BAF-560	ფორდი			
56.	პატარა ფოთი	BAK-260	ფორდი			
57.	პატარა ფოთი	EFG-664	ფორდი			
58.	პატარა ფოთი	FFG-400	ფორდი			
59.	ბია	DBV-091	ფორდი			
60.	ბია	BAH-875	ფორდი			
61.	საგვიჩიო	AAN-232	ფორდი			
62.	საგვიჩიო	LRL-386	მერსედესი			
63.	ახალი ხიბულა	ZXZ-958	ფორდი			
64.	ახალი ხიბულა	SRS-029	ფორდი			
65.	ახალი ხიბულა	WLW-183	ფორდი			
66.	ახალი ხიბულა	DBT-345 OHO-345	ფორდი			
67.	ხეთა	AAY-736	მერსედესი			
68.	ხეთა	NTN-875	ფორდ ტრანზიტი			
69.	ხეთა	YTY-660	ფორდ ტრანზიტი			
70.	ხეთა	ZMS-015	ფორდ ტრანზიტი			
71.	ხეთა	XQX-698	ფორდ ტრანზიტი			
72.	ხეთა	FLF-931	ფორდ ტრანზიტი			
73.	ხეთა	GCG-077	ფორდ ესკორტი			
74.	ხეთა	LEV-675	ფორდ ესკორტი			
75.	ხეთა	NBN-877	ფორდ ტრანზიტი			
76.	ხეთა	GLG-806	ფორდი			
77.	გურიფული	SCS-401	მიკრო ავტობუსი			
78.	ხობი	BOB-810	მიკრო ავტობუსი			
79.	ხობი	PPP-562	მიკრო ავტობუსი			
80.	ხობი	WYW-869	მიკრო ავტობუსი			
81.	ხობი	TSP-294	მიკრო ავტობუსი			
82.	ხობი	ZIM-073	მიკრო ავტობუსი			
83.	ხობი	BBC-465	მიკრო ავტობუსი			
84.	ხობი	CTS-	მიკრო ავტობუსი			
85.	ხობი	BHP-130	მიკრო ავტობუსი			
86.	ხობი	IKA-984	მიკრო ავტობუსი			
87.	ხობი	TOT-655	მიკრო ავტობუსი			
88.	ხობი	MCM-129	მიკრო ავტობუსი			
89.	ხობი	WVW-838	მიკრო ავტობუსი			
90.	ხობი	XTX-415	მიკრო ავტობუსი			
91.	ხობი	BAR-903	მიკრო ავტობუსი			
92.	ხობი	FBF-840	მიკრო ავტობუსი			

93.	ხობი	LEV-589	მიკრო ავტობუსი			
94.	საჯიჯაო	ZUG-260	ზილ-130			კერძო
95.	საჯიჯაო	FAN-078	გაზ-52			კერძო
96.	საჯიჯაო	ICI-117	ზილ-130			კერძო
97.	საჯიჯაო	DQD-913	გაზ-52			კერძო
98.	საჯიჯაო	GAZ-968	გაზ-53			კერძო
99.	საჯიჯაო	FAT-073	კავზ			კერძო
100.	საჯიჯაო	ICI-117	კავზ			კერძო
101.	საჯიჯაო	PA-809	კუბანი			კერძო
102.	საჯიჯაო	AMS-395	გაზ-53			კერძო
103.	საჯიჯაო	PA809	ფაზ-51			კერძო
104.	ახალი ხიბულა	LAA-327	უაზი			კერძო
105.	ახალი ხიბულა	LAS-291	გაზ-53			კერძო
106.	ხეთა	KZX-176	ზილ-130			კერძო
107.	ხეთა	SAM-046	კამაზი			კერძო
108.	გურიფული	FAN-177	კამაზი			კერძო
109.	ბია	FAN-391	ვაზ-2121			კერძო
110.	ბია	SDS-543	უაზი			კერძო
111.	ბია	GAL-952	გაზ-53			კერძო
112.	ნოჯიხევი	MEG-280	მაზი			კერძო
113.	ქარიატა	ZUG-796	პაზ-205			კერძო
114.	ქარიატა	BEB-265	მაზი			კერძო
115.	ზემო ქვალონი	FAE-852	გაზ-53ა			კერძო
116.	შუა ხორგა	DAA-398	ექსკავატორი			კერძო
117.	შუა ხორგა	DAD-446	გაზ მისაბმელი			კერძო
118.	ქვემო ქვალონი	DED-553	გაზ-53			კერძო
119.	ქვემო ქვალონი	TBI-918	მაზი			კერძო
120.	ქვემო ქვალონი	FAF-219	გაზ-53			კერძო
121.	ქვემო ქვალონი	FBI-912	კამაზი			კერძო
122.	ქვემო ქვალონი	GAB-509	ზილი-147			კერძო
123.	ქვემო ქვალონი	FFS-026	კამაზი			კერძო
124.	ხამისკური	PBB-455	მაზი			კერძო
125.	ჭალადიდი	BEB-255	ზილ-130			კერძო
126.	პირველი მაისი	LAL-193	გაზ-66			კერძო
127.	პირველი მაისი	DBT-309	გაზ-53			კერძო
128.	ხობი	ZUG-794	პაზ-672			კერძო
129.	ხობი	ZUG-795	პაზ-672			კერძო
130.	ხობი	FAE-290	პაზ-672			კერძო
131.	ხობი	FAE-907	პაზ-672			კერძო
132.	ხობი	FAE-102	პაზ-672			კერძო

საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე

დანართი 6
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2011 წლის 29 აგვისტოს N79 განკარგულებისა

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სატრანსპორტო და საინჟინრო ნაგებობების ნუსხა

ხიდები:

1.	სენაკი–ფოთი-სარფი	რკინა-ბეტონის 4 ც. 250 გრძ.მ.
2.	თბილისი-სენაკი-ლესელიძე	რკინა-ბეტონის 2 ც. 185 გრძ.მ.
3.	ნარაზენი-საჯიჯაო-გაღმა საჯიჯაო-ხორში	რკინა-ბეტონის 2 ც. 320 გრძ.მ.
4.	ხობი-ხორგა-ჭალადიდი	რკინა-ბეტონის 2 ც. 143 მ.
5.	ახალი ხიბულა-ძველი ხიბულა	ლითონის 1 ც. 84 მ.
6.	სოფელი საგვიჩიო	რკინა-ბეტონის 1 ც. 10,5 მ.
7.	ყულევი-ნაბადა	რკინა-ბეტონის 56 მ.
8.	შუა ქვალონი-გიმოზგონჯილი	რკინა-ბეტონის 1 ც. 8,7 მ.

საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე

დანართი 7
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2011 წლის 29 აგვისტოს N79 განკარგულებისა

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დამცავი საშუალებებისა და ნაგებობების ნუსხა

ქ. ხობის N1 და N2 საჯარო სკოლების სპორტული დარბაზები - საერთო რაოდენობა: 300 კაცი
ქ. ხობის კინოთეატრის შენობა - 600 კაცი
ქ. ხობის კულტურის სახლის შენობა - 800 კაცი
ქ. ხობის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი - 200 კაცი
ქ. ხობის სამედიცინო დაწესებულება - 15 კაცი

საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე

დანართი 8
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2011 წლის 29 აგვისტოს N79 განკარგულებისა

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სამედიცინო დაწესებულებების ნუსხა

1. შპს „ხობის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანება“ (გაერთიანებას ემსახურება 30 ექიმი და 32 მედდა; ხელმძღვანელი: მანანა საჯაია. მისამართი: ქ. ხობი, ჭყონდიდელის ქ. N2. ტელ: 593 300509).
2. შპ.ს. „ხობის ორთოპედიულ-ტრამვატოლოგიური განყოფილება“ (ექიმების რაოდენობა - 2, მედდების რაოდენობა - 9; ხელმძღვანელი: რევაზ მიხელაშვილი. მისამართი: ჭყონდიდელის ქ. N2. ტელ: 599 517458).
3. შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადადგილებულ პირთა ხობის პოლიკლინიკა“ (ექიმების რაოდენობა - 8, მედდა - 5; ხელმძღვანელი: სვეტლანა გვათუა; მისამართი: ჭყონდიდელის ქ. N2. ტელ: 555 597634).
4. შპს „ხობის უსაფრთხო დედობისა და ბავშვთა გადარჩენის ცენრი“ (ექიმების რაოდენობა - 7, მედდა - 23; ხელმძღვანელი: ფიქრია დვალაძე; მისამართი: ჭყონდიდელის ქ. N2; ტელ: 599 197505).
5. შპს „ჭალადიდის ამბულატორიების გაერთიანება“ (გაერთიანებაში შემავალია 7 საექიმო უბანი, ექიმების რაოდენობა - 7, მედდების რაოდენობა - 11; ხელმძღვანელი: რაფიელ დარსალია; მისამართი: სოფელი ჭალადიდი; ტელ: 599 911875.
6. შპს „რაიცენტრალური საავადმყოფო“ (ექიმების რაოდენობა - 21, მედდების რაოდენობა - 38; ხელმძღვანელი: ვლადიმერ ქანთარია; მისამართი: ჭყონდიდელის ქ. N2; ტელ: 595 308604).
7. შპს „ხობის სასწრაფო დახმარება 03“ (ექიმების რაოდენობა - 8. მედდების რაოდენობა - 8; ხელმძღვანელი: ბეჟან კანკია; მისამართი: ჭყონდიდელის ქ. N2; ტელ: 593 249286).
8. სასწრაფო დახმარების მანქანა - 3 ერთეული;

საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე

დანართი 9
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2011 წლის 29 აგვისტოს N79 განკარგულებისა

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ნუსხა

სკოლის დასახელება: ქ. ხობის N1 საჯარო სკოლა
მასწავლებელთა რაოდენობა: 50
მოსწავლეთა რაოდენობა: 346
დირექტორი: ქეთევან გაბისონია
ტელ: 577 122701

სკოლის დასახელება: ქ. ხობის N2 საჯარო სკოლა
მასწავლებელთა რაოდენობა: 42
მოსწავლეთა რაოდენობა: 428
დირექტორი: ნანა ქვარაია
ტელ: 577 122707

სკოლის დასახელება: ხამისკურის საჯარო სკოლა
მასწავლებელთა რაოდენობა: 28
მოსწავლეთა რაოდენობა: 147.
დირექტორი: ლელა კუკავა
ტელ: 577 122761

სკოლის დასახელება: ქარიატის საჯარო სკოლა
მასწავლებელთა რაოდენობა: 18
მოსწავლეთა რაოდენობა: 100
დირექტორი: მაია ალექსანდრია
ტელ: 577 122750

სკოლის დასახელება: ჭალადიდის საჯარო სკოლა
		სტიქიით დაზიანებული ობიექტები (სარეზერვო ფონდი)					

		ადმინისტრაციული შენობა ქ. ხობში	517	გამარტივებული შესყიდვა	მაის-ივლისი	II-III კვარტ.	
		ყოფილი რაიკომის შენობა	1182				
		ბიის ადმინისტრაციული შენობა	832				
		ჭალადიდის ადმინისტრაციული შენობა	868				
		პირველი ხორგის ადმინისტრაციული შენობა	1875,95				
		შ.ს.ს. ხობის რაიონული სამმართველოს შენობის შესასვლელის დაკიდული ჭერის შეკეთება	1673				
		ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული შენობა	681,3				
		ქ. ხობში კულტურის სახლის სახურავი	1620				
		პირველი ხორგის სასოფლო კლუბის სახურავი	634,7				
		ქვ. ქვალონის კულტურის სახლის სახურავი	1806,7				
		სოფ. ხეთის წინაგოლის უბნის საჯარო სკოლის სახურავის შეკეთება	3655				
		სოფ. პირველი ხორგის საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის სახურავის შეკეთება	1949,34				
		სოფ. ქარიატის საჯარო სკოლის შენობის სახურავის შეკეთება	3488				
		სოფ. ახალი სოფლის საჯარო სკოლის შენობის სახურავის შეკეთება	2145				
		ხობის №1 საჯარო სკოლის საჯარო სკოლის სახურავის შეკეთება	2136				
		სოფ. ჭალადიდის საჯარო სკოლის შენობის სახურავის შეკეთება	8499				
		სოფ. ბიის საბავშვო ბაღის შენობის სახურავის შეკეთება	3999				
		სოფ. ნოჯიხევის საბავშვო ბაღის შენობის სახურავის შეკეთება	2212				
		სოფ. ხეთის საბავშვო ბაღის შენობის სახურავის შეკეთება	1800				
		სოფ. პირველი მაისის საბავშვო ბაღის შენობის სახურავის შეკეთება	2255				
		სოფ. პატარა ფოთის საბავშვო ბაღის შენობის სახურავის შეკეთება	1222				
		სოფ. გაღმა საჯიჯაოს საბავშვო ბაღის შენობის სახურავის შეკეთება	809				
		სოფ. ჭალადიდის საბავშვო ბაღის შენობის სახურავის შეკეთება	1225				
		სოფ. თორსის საბავშვო ბაღის შენობის სახურავის შეკეთება	1096				
		სოფ. საგვიჩიოს საბავშვო ბაღის შენობის სახურავის შეკეთება	1371				

		სოფ. ახალი სოფლის საბავშვო ბაღის შენობის სახურავის შეკეთება	615				
		ხობის №3 საბავშვო ბაღის (ჭიხუს უბანი) სახურავის შეკეთება	545				
		სოფ. ქარიატაში მდ. ხობისწყალზე არსებული საცალფეხო ხიდის შეკეთება	4356				
		ც. დადიანის ქუჩაზე 48 ბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის შეკეთება	5446				
		სტალინის ქ. #31-ში ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის შეკეთება	1275				
		ჭყონდიდელის ქუჩაზე 60 ბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის შეკეთება	3006				
		,,კოლხეთი"-ს დასახლებაში 4 ბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის შეკეთება	2047				
		,,კოლხეთი"-ს დასახლებაში ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის შეკეთება	3718				
სულ ჯამი			3339470,36				

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. N192).

საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N98
2011 წლის 8 ნოემბერი
ქ. ხობი

ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის თემის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების სახელდების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონისა და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის სამთავრობო კომისიის 2011 წლის 26 სექტემბრის N9 დასკვნის საფუძველზე:

1. ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის თემში არსებულ ქუჩებს, თანდართულ ორთოფოტოებზე (დანართი 1, დანართი 2) მონიშნული ქუჩების შესაბამისად, ეწოდოს შემდეგი სახელები:

ა) სოფელ პირველ გურიფულში:

ა.ა) „01 ქუჩას“ – რუბენ ბახიას სახელი;

ა.ბ) „02 ქუჩას“ – წმინდა ნინოს სახელი;

ა.გ) „03 ქუჩას“ – წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელი;

ბ) სოფელ მეორე გურიფულში:

ბ.ა) „01 ქუჩას“ – თბილისის სახელი;

ბ.ბ) „02 ქუჩას“ – ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელი;

ბ.გ) „03 ქუჩას“ – წმინდა გიორგის სახელი;

ბ.დ) „04 ქუჩას“ – 26 მაისის სახელი;

2. ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის თემში, სოფელ პირველი გურიფულის თანდართულ ორთოფოტოზე (დანართი 1) მონიშნული „01 ქუჩის 01 შესახვევს“ ეწოდოს რუბენ ბახიას პირველი შესახვევი.

3. ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის თემში არსებული ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე ჩიხებს, თანდართულ ორთოფოტოებზე (დანართი 1, დანართი 2) მონიშნული ჩიხების შესაბამისად, ეწოდოს შემდეგი სახელები:

ა) სოფელ პირველ გურიფულში:

ა.ა) „01 ქუჩის 01 ჩიხს“ – რუბენ ბახიას პირველი ჩიხი;

ა.ბ) „03 ქუჩის 01 ჩიხს“ – წმინდა კვირიკესა და ივლიტას პირველი ჩიხი;

ბ) სოფელ მეორე გურიფულში „01 ქუჩის 01 ჩიხს“ – თბილისის პირველი ჩიხი.

4. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას - ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს ქუჩების სახელდებათა მაჩვენებლების დამზადება.

5. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. N192).

საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე

დანართი 1
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2011 წლის 8 ნოემბრის N98 განკარგულებისა

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი გურიფულის ორთოფოტო



საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე

დანართი 2
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2011 წლის 8 ნოემბრის N98 განკარგულებისა

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე გურიფულის ორთოფოტო

საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N99
2011 წლის 8 ნოემბერი
ქ. ხობი

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ხორგის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების სახელდების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონისა და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის სამთავრობო კომისიის 2011 წლის 26 სექტემბრის N9 დასკვნის საფუძველზე:

1. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ხორგაში არსებულ ქუჩებს, თანდართულ ორთოფოტოზე (დანართი 1) მონიშნული ქუჩების შესაბამისად, ეწოდოს შემდეგი სახელები:

ა) „01 ქუჩას“ – ალიო მირცხულავას სახელი;

ბ) „02 ქუჩას“ – წმინდა გიორგის სახელი;

გ) „03 ქუჩას“ – „ზურაბ ყუფუნიას“ სახელი;

დ) „04 ქუჩას“ – დავით აღმაშენებლის სახელი;

ე) „05 ქუჩას“ – იოანე ნათლისმცემლის სახელი;

ვ) „06 ქუჩას“ – წმინდა ნინოს სახელი;

ზ) „07 ქუჩას“ – თავისუფლების სახელი;

2. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ ხორგაში არსებული ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე შესახვევებს, თანდართულ ორთოფოტოზე (დანართი 1) მონიშნული შესახვევების შესაბამისად, ეწოდოს შემდეგი სახელები:

ა) „01 ქუჩის 01 შესახვევს“ – ალიო მირცხულავას პირველი შესახვევი;

ბ) „01 ქუჩის 02 შესახვევს“ – ალიო მირცხულავას მეორე შესახვევი;

3. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას - ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს ქუჩების სახელდებათა მაჩვენებლების დამზადება.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. N192).

საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე

დანართი
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2011 წლის 8 ნოემბრის N99 განკარგულებისა

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ხორგის ორთოფოტო

საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N100
2011 წლის 21 ნოემბერი
ქ. ხობი

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობიდან იგორ ტყებუჩავას განთავისუფლებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 25 დეკემბრის N109 დადგენილების შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობიდან იგორ ტყებუჩავას განთავისუფლების თაობაზე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხობი ცოტნე დადიანის ქ. N192).

საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N101
2011 წლის 9 დეკემბერი
ქ. ხობი

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის N52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის და „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის N52 განკარგულების შესაბამისად:

1. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 31 ივლისის N52 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ცენტრის ფუნქციებია:

ა) სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის წარმართვა 6-დან 18 წლამდე ასაკის მოსწავლეებთან;

ბ) სკოლასთან, სხვადასხვა სკოლისგარეშე დაწესებულებასთან, ოჯახთან და საზოგადოებასთან თანამშრომლობა;

გ) მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში ხელშეწყობა;

დ) მოსწავლეთა მრავალმხრივი ნიჭისა და მიდრეკილებების განვითარების ხელშეწყობა, მოზარდ თაობაში მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნებისადმი ინტერესის გაღრმავება;

ე) ბავშვთა და მოზარდთა ინტერესებისა და მიდრეკილებების, მათი სულიერი და ინტელექტუალური შესაძლებლობების და ჰუმანური თვისებების ჩამოყალიბება;

ვ) სკოლების და სკოლისგარეშე დაწესებულებების წრეობრივი (მხატვრული შემოქმედების, ტურისტულ-მხარეთმცოდნეობის, სპორტული, ტექნიკური) მუშაობის ხელშეწყობა;

ზ) მოსწავლეებისთვის ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობის, ქართული და მსოფლიოს ხელოვნების ნიმუშების გაცნობა;

თ) მოსწავლეებისთვის მუსიკალური ხელოვნების საფუძვლების გაცნობა-სწავლება;

ი) მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე ზრუნვა;

კ) კონკურსების, ფესტივალებისა და სხვა ღონისძიებების საშუალებით განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა და წარმოჩენა;

ლ) განსაკუთრებული სახელოვნებო ნიჭითა და უნარით დაჯილდოებულ ბავშვთა გამოვლენა და მათვის სპეციალური პროგრამებით განათლების მიღების უზრუნველყოფა;

მ) ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში;

ნ) სპორტის სახეობების მიხედვით მუნიციპალიტეტში, ეროვნული ნაკრები გუნდების კანდიდატებისა და სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული ჭაბუკი სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისთვის რეზერვის მომზადება;

ო) მოსწავლეების (სპორტსმენების) მომზადება ეროვნული ნაკრები გუნდების წევრობისა და წევრობის კანდიდატობისთვის;

პ) კრივის სახეობაში თანამედროვე საწვრთნელი პროცესის დანერგვით, საკუთარი სპორტულ ღონისძიებათა კალენდრის შემუშავებითა და შესრულებით სპორტული რეზერვების მომზადების ეფექტური სისტემის შექმნა;

ჟ) მოსწავლე-ახალგაზრდობაში კომპიუტერული მუშაობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება; თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება;

რ) წრეობრივი მეცადინეობების ჩატარება ინფორმაციულ ტექნოლოგიებში და ახალგაზრდებისთვის ინფორმატიკის საფუძვლების სწავლება;

ს) შესაბამისი პროფილის დაწესებულებებთან თანამშრომლობა;

ტ) საინფორმაციო ბანკის შექმნა.“.

ბ) განკარგულებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) კრივის სკოლა.“.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. N192)

საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N102
2011 წლის 9 დეკემბერი
ქ. ხობი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ კოლხეთის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად:

1. დაფუძნდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი კოლხეთი“.
2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ კოლხეთის“ თანდართული წესდება.
3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ კოლხეთის“ სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის ვალდებულება დაეკისროს იურიდიული პირის დირექტორს.
4. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. N192).

საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე

დანართი
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2011 წლის 9 დეკემბრის N102 განკარგულებისა

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ კოლხეთის“ წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სრული სახელწოდებაა „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი კოლხეთი“ (შემდგომში - „კლუბი“).
2. კლუბი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ამ წესდების შესაბამისად.
3. კლუბი თავის საქმიანობას ახორციელებს განუსაზღვრელი ვადით.
4. კლუბს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში, ბეჭედი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
5. კლუბი უფლებებს იძენს მისი შესაბამის ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან.
6. კლუბის იურიდიული მისამართია: ქ. ცოტნე დადიანის ქ. N185.

მუხლი 2. კლუბის დაფუძნება

1. კლუბის დამფუძნებელია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
2. კლუბის წესდებას ამტკიცებს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. კლუბის საქმიანობას საერთო ხელმძღვანელობას უწევს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

მუხლი 3. კლუბის მიზნები და ამოცანები

1. კლუბის მიზანია:

ა) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს და საერთაშორისო (მათ შორის „ფიფა“-ს და „უეფა“-ს ეგიდით) ტურნირებში მონაწილეობის მიღება;

ბ) საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ რეგლამენტით განსაზღვრულ ვადებში ჩემპიონატებისა და თასების მატჩების ჩატარების უზრუნველყოფა;

გ) საფეხბურთო კლუბების შექმნისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების მომზადების უზრუნველყოფა;

დ) სპორტული დაოსტატებისთვის საჭირო პირობების შექმნა;

ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფეხბურთის პოპულარიზაციის მიზნით ფეხბურთის განვითარებისთვის აუცილებელი პირობების შექმნა და ფეხბურთის პროპაგანდა;

ვ) ბავშვთა საფეხბურთო ჯგუფების შექმნა, ნიჭიერი ფეხბურთელების შერჩევა და აღზრდა.

2. თავისი მიზნის მისაღწევად კლუბი:

ა) ზრუნავს თავისი პერსონალის, სპორტსმენების, მწვრთნელების, მსაჯების და სხვა სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებაზე;

ბ) ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას და ქვეყნის მასშტაბით შესაბამის დაწესებულებებთან ურთიერთობას;

გ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 4. კლუბის ადმინისტრაცია

კლუბის ადმინისტრაცია შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილის, ფინანსური მენეჯერისა და იურისტისგან, რომელთაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე.

მუხლი 5. კლუბის ხელმძღვანელობა

1. კლუბს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე.
2. კლუბის ხელმძღვანელობა და სრული წარმომადგენლობა ენიჭება დირექტორს, რომელიც უძღვება კლუბის საქმეებს.
3. დირექტორი:
ა) წარმართავს კლუბის საერთო საქმიანობას, ახორციელებს ადმინისტრაციისა და კლუბის საქმიანობის კოორდინაციას;
ბ) ზედამხედველობას ახორციელებს კლუბის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე, პასუხისმგებელია ამ პროცესების ორგანიზაციაზე;
გ) კლუბში შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის მიხედვით განსაზღვრავს და ამტკიცებს კლუბის საშტატო ნუსხას და სახელფასო ფონდს დამფუძნებელთან შეთანხმებით;
დ) დამფუძნებელთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს კლუბის თანამშრომლებს;
ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით დებს გარიგებებს კლუბის სახელით;
ვ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს, ამტკიცებს კლუბის შინაგანაწესს, სამუშაო გეგმებს;
ზ) კანონმდებლობის შესაბამისად განკარგავს კლუბის ფინანსურ და მატერიალურ საშუალებებს;
თ) კანონის ფარგლებში დებს შრომით ხელშეკრულებებს და მუშაკთა მიმართ იყენებს წამახალისებელ და დისციპლინურ ზომებს;
ი) დამფუძნებელს წარუდგენს ანგარიშს საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ ყოველკვარტალურად;
კ) ანგარიშვალდებულია დამფუძნებლის წინაშე;
ლ) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს კლუბს ყველა ინსტანციაში;
მ) ახორციელებს კლუბის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ, კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას.

მუხლი 6. კლუბის დაფინანსება

1. კლუბის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:
ა) ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი თანხები;
ბ) გრანტები და შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავალი;
გ) დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგება.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი ფინანსური სახსრები გამოიყენება მხოლოდ ცენტრის წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად.

მუხლი 7. კლუბის ქონება

კლუბს უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, სარგებლობის უფლებით შეიძლება გადაეცეს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონება.

მუხლი 8. კლუბის საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება

კლუბი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და წარუდგინოს დამფუძნებელს ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით.

მუხლი 9. სახელმწიფო კონტროლი

1. კლუბი ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.
2. კლუბის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანო.

მუხლი 10. კლუბის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 11. კლუბის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. კლუბის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. კლუბის უფლებამოსილება წყდება მისი ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან.
3. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება გადადის ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში.
4. ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს.

მუხლი 12. გარდამავალი დებულებანი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი კოლხეთი“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საფეხბურთო კლუბ კოლხეთის“ უფლებამონაცვლეს.

საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N103
2011 წლის 9 დეკემბერი
ქ. ხობი

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ზოგიერთი ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 25 დეკემბრის N109 დადგენილების შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საფეხბურთო კლუბ კოლხეთის“ წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2009 წლის 19 აგვისტოს N360 ბრძანება;

ბ) „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საფეხბურთო კლუბ კოლხეთის“ დირექტორის დანიშვნის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2010 წლის 4 ივნისის N260 ბრძანება.

2. ბრძანებები ძალადაკარგულად გამოცხადდეს საკრებულოს თავმჯდომარის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემის დღიდან.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. N192).

საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N104
2011 წლის 9 დეკემბერი
ქ. ხობი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად:
1. დაფუძნდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ხობის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“.
2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ თანდართული წესდება.
3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის ვალდებულება დაეკისროს იურიდიული პირის დირექტორს.
4. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. N192).

საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე

დანართი
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2011 წლის 9 დეკემბრის N104 განკარგულებისა

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სრული სახელწოდებაა „ხობის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“ (შემდგომში - „სახლი“).
2. სახლი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ამ წესდების შესაბამისად.
3. სახლი თავის საქმიანობას ახორციელებს განუსაზღვრელი ვადით.
4. სახლს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში, ბეჭედი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
5. სახლი უფლებებს იძენს მისი შესაბამის ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან.
6. სახლის იურიდიული მისამართია: ქ. ხობი. სტალინის ქ. N6.

მუხლი 2. სახლის დაფუძნება

1. სახლის დამფუძნებელია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
2. სახლის წესდებას ამტკიცებს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. სახლის საქმიანობას საერთო ხელმძღვანელობას უწევს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

მუხლი 3. სახლის მიზნები

სახლის მიზანია:
ა) ცენტრის მიზანია ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ მოქალაქეთა უფასოდ კვების უზრუნველყოფა;
ბ) სოციალურად დაუცველ პირთა ხელშეწყობა;
გ) სოციალურად დაუცველ პირთა საზოგადოებასთან ადაპტაციის მიზნით სპეციალური პროგრამების მომზადება და განხორციელება;
დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველი პირების აღრიცხვა, მათზე სოციალური დახმარებისა და კანონით გათვალისწინებული სხვა შეღავათების დაწესების შესახებ წინადადებების მომზადება.

მუხლი 4. სახლის ადმინისტრაცია

სახლის ადმინისტრაცია შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილისა და ფინანსური მენეჯერისგან, რომელთაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე.

მუხლი 5. სახლის ხელმძღვანელობა

1. სახლს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე.
2. სახლის ხელმძღვანელობა და სრული წარმომადგენლობა ენიჭება დირექტორს, რომელიც უძღვება სახლის საქმეებს.
3. დირექტორი:

ა) წარმართავს სახლის საერთო საქმიანობას, ახორციელებს ადმინისტრაციისა და სახლის საქმიანობის კოორდინაციას;
ბ) ზედამხედველობას ახორციელებს სახლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე, პასუხისმგებელია ამ პროცესების ორგანიზაციაზე;
გ) სახლში შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის მიხედვით განსაზღვრავს და ამტკიცებს სახლის საშტატო ნუსხას და სახელფასო ფონდს დამფუძნებელთან შეთანხმებით;
დ) დამფუძნებელთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სახლის თანამშრომლებს;
ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით დებს გარიგებებს სახლის სახელით;
ვ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს, ამტკიცებს სახლის შინაგანაწესს, სამუშაო გეგმებს;
ზ) კანონმდებლობის შესაბამისად განკარგავს სახლის ფინანსურ და მატერიალურ საშუალებებს;
თ) კანონის ფარგლებში დებს შრომით ხელშეკრულებებს და მუშაკთა მიმართ იყენებს წამახალისებელ და დისციპლინურ ზომებს;
ი) დამფუძნებელს წარუდგენს ანგარიშს საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ ყოველკვარტალურად;
კ) ანგარიშვალდებულია დამფუძნებლის წინაშე;
ლ) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს სახლს ყველა ინსტანციაში;
მ) ახორციელებს სახლის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ, კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას.

მუხლი 6. სახლის დაფინანსება
1. სახლის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:
ა) ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი თანხები;
ბ) გრანტები და შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავალი;
გ) დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგება.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი ფინანსური სახსრები გამოიყენება მხოლოდ სახლის წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად.

მუხლი 7. სახლის ქონება
სახლს უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, სარგებლობის უფლებით შეიძლება გადაეცეს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონება.

მუხლი 8. სახლის საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება
სახლი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და წარუდგინოს დამფუძნებელს ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით.

მუხლი 9. სახელმწიფო კონტროლი
1. სახლი ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.
2. სახლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანო.

მუხლი 10. სახლის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი
წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 11. სახლის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია
1. სახლის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სახლის უფლებამოსილება წყდება მისი ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან.
3. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება გადადის ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში.
4. ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს.

მუხლი 12. გარდამავალი დებულებანი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ხობის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“ წარმოადგენს უმწეოთა სასადილოს უფლებამონაცვლეს.

საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N105
2011 წლის 9 დეკემბერი
ქ. ხობი

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე გოგა ღურწკაიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 25 დეკემბრის N109 დადგენილების 89-ე მუხლის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე გოგა ღურწკაიას დანიშვნაზე.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხობის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. N192).

საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N106

2011 წლის 27 დეკემბერი

ქ. ხობი

„ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 26 იანვრის N51 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, „ხობის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 26 იანვრის N51 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულების პირველ დანართში შემცირდეს: 150 ლარით - საწვავის შეძენის ასიგნება; 200 ლარით - ელექტროენერგიის საფასურის ასიგნება; 1400 ლარით - სსმ-ში ნორმატიული აქტების გამოქვეყნების ხარჯების ასიგნება; 20 ლარით - ფაილების შეძენის ასიგნება; 20 ლარით - ბლოკნოტის შეძენის ასიგნება; 50 ლარით - 10 ცალი სტიკერის შეძენის ასიგნება; 50 ლარით - 1 ცალი სტეპლერის (დიდი) შეძენის ასიგნება; 700 ლარით - საბეჭდი ქაღალდის შეძენის ასიგნება; 210 ლარით - კარტრიჯების შეძენის ასიგნება; 400 ლარით - სატელეფონო ბარათების შეძენის ასიგნება; 300 ლარით - 1 ცალი რკინის კარადის შეძენის ასიგნება; 500 ლარით - 1 ცალი რკინის კარადის შეძენის ასიგნება; 1850 ლარით - ქ. ხობში წერეთლის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 5850 ლარით - ქ. ხობში ცოტნე დადიანის ქ. N185 მდებარე ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოების ასიგნება; 72 ლარით - შუა ხორგის თემში გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ასიგნება; 792 ლარით - სოფელ ძველ ხიბულაში გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ასიგნება; 500 ლარით - ახალი ხიბულის საჯარო სკოლის ეზოს შემოკავების სამუშაოების ასიგნება; 2850 ლარით - სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის ოთახების რემონტის ასიგნება; 490 ლარით - ფინანსური ანალიზისა და ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის ასიგნება; 825 ლარით - კომპიუტერის მომსახურების ხარჯების ასიგნება; 1400 ლარით - სატელეფონო ასიგნება; 4500 ლარით - ჰერალდიკის ხარჯების ასიგნება; 1445 ლარით - გაწვევის საექიმო კომისიის ხარჯების ასიგნება; 1068 ლარით - სოფელ საგვიჩიოს ცენტრალური სტადიონის კეთილმოწყობის სამუშაოების ასიგნება; 984 ლარით - სოფელ საგვიჩიოს მე-3 უბნის სტადიონის კეთილმოწყობის სამუშაოების ასიგნება; 632 ლარით - ქვემო ქვალონის თემში, სოფელ გიმოზგონჯილში ი. ვეკუას ქუჩის წყალსადენის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 1244 ლარით - ქვემო ქვალონის თემში, სოფელ გიმოზგონჯილში ვ. ფშაველას ქუჩაზე N1 და N2 ხიდბოგირების რეაბილიტაციის სამუშაოების ასიგნება; 1731 ლარით - ქვემო ქვალონის თემში, სოფელ გვიმარონში სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოების ასიგნება; 1199,8 ლარით - ქვემო ქვალონის თემში, სოფელ ბულიშში ავტომოსაცდელის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 633 ლარით - ქვემო ქვალონის თემში, სოფელ ბულიშში გზების მოხრეშვის სამუშაოების ასიგნება; 1200 ლარით - ქვემო ქვალონის თემში, სოფელ დურღენაში ავტომოსაცდელის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 1554,15 ლარით - ქვემო ქვალონის თემში, სოფელ დურღენაში სასაფლაოს ქუჩის მოხრეშვის სამუშაოების ასიგნება; 753,1 ლარით - ქვემო ქვალონის თემში, სოფელ დურღენაში ნ. დუმბაძის ქუჩის წყალსადენის რეაბილიტაციის სამუშაოების ასიგნება; 790,2 ლარით - ქვემო ქვალონის თემში,

სოფელ დურღენაში ქარჩავას ქუჩის წყალსადენის რეაბილიტაციის სამუშაოების ასიგნება; 1337 ლარით - პატარა ფოთის შიდა გზების მოხრეშვის სამუშაოების ასიგნება; 7509 ლარით - პატარა ფოთის II უბნის სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოების ასიგნება; 571 ლარით - პატარა ფოთის III უბნის სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოების ასიგნება; 444 ლარით - პატარა ფოთის I უბანში სტადიონის განათების მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 3344 ლარით - სოფელ შავღელეში შიდა გზების წვრილმარცვლოვანი ასფალტობეტონით რემონტის სამუშაოების ასიგნება; 1819,3 ლარით - გურიფულის თემში, სოფელ პირველი გურიფულის მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 970 ლარით - გურიფულის თემში, სოფელ მეორე გურიფულში არსებული სტადიონის კეთილმოწყობის სამუშაოების ასიგნება; 347,9 ლარით - გურიფულის თემში, სოფელ მეორე გურიფულის სასაფლაოს კეთილმოწყობის სამუშაოების ასიგნება; 1180,15 ლარით - გურიფულის თემში, სოფელ მეორე გურიფულში სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოების ასიგნება; 115,68 ლარით - ახალსოფლის თემში, ცენტრალური გზის მოხრეშვის სამუშაოების ასიგნება; 2316,3 ლარით - ახალსოფლის თემში, სოფელ გაღმა პირველი ხორგის გზის მოხრეშვის სამუშაოების ასიგნება; 3563 ლარით - ჭალადიდის თემში, სოფელ საბაჟოში გზის მოხრეშვის სამუშაოების ასიგნება; 66,3 ლარით - ჭალადიდის თემში, სოფელ საბაჟოში სანიაღვრე არხის ამოწმენდის სამუშაოების ასიგნება; 14 ლარით - ჭალადიდის თემში, სოფელ საღვამიჩაოში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 964 ლარით - ჭალადიდის თემში, სოფელ საღვამიჩაოში გზის მოხრეშვის სამუშაოების ასიგნება; 1728 ლარით - ჭალადიდის თემში, სოფელ საჭოჭუოში გზის მოხრეშვის სამუშაოების ასიგნება; 1249,32 ლარით - ნოჯიხევის თემში, სოფელ კუთხენოჯიხევში ხიდბოგირის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 886 ლარით - ნოჯიხევის თემის ცენტრში მილხიდის რეაბილიტაციის სამუშაოების ასიგნება; 2023,83 ლარით - ნოჯიხევის თემის ცენტრში არსებული სკვერის დეკორატიული ღობის ამაღლების სამუშაოების ასიგნება; 720,3 ლარით - ნოჯიხევის თემში, სოფელ ნოჯიხევში წყალსადენის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 378 ლარით - ნოჯიხევის თემში, სოფელ ნოჯიხევში ცხაურის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 1162 ლარით - ნოჯიხევის თემში, სოფელ ზენში მილხიდის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 360 ლარით - ნოჯიხევის თემში, სოფელ ზენში ცხაურის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 225 ლარით - ნოჯიხევის თემში, სოფელ ნაფოჩტუში მინი სტადიონის ღობის აღდგენითი სამუშაოების ასიგნება; 661 ლარით - ნოჯიხევის თემში, სოფელ ნაფოჩტუში შიდა გზების მოხრეშვის სამუშაოების ასიგნება; 726 ლარით - ნოჯიხევის თემში, სოფელ დასახლებაში საბავშვო ბაღის კეთილმოწყობის ასიგნება; 2679 ლარით - ნოჯიხევის თემში, სოფელ დასახლებაში ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 131,14 ლარით - ხეთის თემში, სოფელ ლარჩვაში წყალსადენის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 20 ლარით - ხეთის თემში, სოფელ ლარჩვაში წყალსადენის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ასიგნება; 1523 ლარით - ხეთის თემში, სოფელ ლარჩვაში ხიდბოგირის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 12 ლარით - ხეთის თემში, სოფელ ლარჩვაში ხიდბოგირის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ასიგნება; 1229,1 ლარით - ხეთის თემში, სოფელ ნოჩხონში ხიდბოგირის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 6 ლარით - ხეთის თემში, სოფელ ნოჩხონში ხიდბოგირის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ასიგნება; 2042 ლარით - ხეთის თემში, სოფელ წინაგოლაში შიდა გზების მოხრეშვის სამუშაოების ასიგნება; 10 ლარით - ხეთის თემში, სოფელ წინაგოლაში შიდა გზების მოხრეშვის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ასიგნება; 2133,44 ლარით - ხეთის თემში, საქირიოს უბნის შიდა გზების მოხრეშვის სამუშაოების ასიგნება; 10 ლარით - ხეთის თემში, საქირიოს უბნის შიდა გზების მოხრეშვის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ასიგნება; 1126 ლარით - ხეთის თემში, სოფელ ოხვამეკარში რკინიგზის ქვეშ სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 662 ლარით - ხეთის თემში, სოფელ ოხვამეკარში მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 823 ლარით - პირველი მაისის თემში, სოფელ საკვიკვინიოში შიდა გზების მოხრეშვის სამუშაოების ასიგნება; 41 ლარით - პირველი მაისის თემში, სოფელ საკვიკვინიოში ხიდბოგირის შეკეთების სამუშაოების ასიგნება; 15,28 ლარით - პირველი მაისის თემში, სოფელ ჭიხუში ეკლესიის მიმდებარე ეზოს შემოღობვის სამუშაოების ასიგნება; 201 ლარით - პირველი მაისის თემში, სოფელ ჭიხუში ავტოსადგომის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 40 ლარით - პირველი მაისის თემში, სოფელ ჭიხუში ავტოსადგომის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ასიგნება; 74,7

ლარით - პირველი მაისის თემში, სოფელ ბულიწყუში გზების მოხრეშვის სამუშაოების ასიგნება; 1188 ლარით - საჯიჯაოს თემში, სოფელ გაღმა საჯიჯაოში მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 832 ლარით - საჯიჯაოს თემში, სოფელ გაღმა საჯიჯაოში შიდა გზების მოხრეშვის სამუშაოების ასიგნება; 1800 ლარით - საჯიჯაოს თემში, სოფელ ჯაპიშაქარში ეკლესიასთან და სასაფლაოსთან მისასვლელი გზის აღდგენითი სამუშაოების ასიგნება; 580 ლარით - საჯიჯაოს თემში, სოფელ ჯაპიშაქარში ხიდბოგირის რეაბილიტაციის სამუშაოების ასიგნება; 1497 ლარით - საჯიჯაოს თემში, სოფელ ზენში სარიტუალო სახლის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 1778 ლარით - საჯიჯაოს თემში, სოფელ ზენში სასაფლაოს გზის გაფართოების სამუშაოების ასიგნება; 1284 ლარით - საჯიჯაოს თემში, სოფელ ზუბში არსებული მინი სტადიონის კეთილმოწყობის სამუშაოების ასიგნება; 740 ლარით - საჯიჯაოს თემში, სოფელ ზუბის სატაბაღუოს დასახლებაში მილხიდის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 714 ლარით - ხამისკურის თემში, სოფელ საკუკავოში საყანე ფართობის შემოკავების სამუშაოების ასიგნება; 1200 ლარით - ხამისკურის თემში, სოფელ საკუკავოში ხიდბოგირის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 1734,4 ლარით - ხამისქურის თემში, სოფელ საქირიოში ხიდბოგირის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 727,2 ლარით - ხამისქურის თემში, სოფელ საქირიოში წყალსადენის რეაბილიტაციის სამუშაოების ასიგნება; 2086 ლარით - ხამისქურის თემში, სოფელ ხამისქურში გზების მოხრეშვის სამუშაოების ასიგნება; 1787 ლარით - თორსა-დღვაბის თემში, სოფელ საბუკიოში გზების მოხრეშვის სამუშაოების ასიგნება; 135,64 ლარით - თორსა-დღვაბის თემში, სოფელ თორსის ცენტრიდან სოფელ დღვაბამდე გზის მოხრეშვის სამუშაოების ასიგნება; 685 ლარით - თორსა-დღვაბის თემში, სოფელ დღვაბაში ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოების ასიგნება; 683,67 ლარით - ზემო ქვალონის თემში, სოფელ საალანიო-საფაჩულიოში ხიდბოგირის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 348,89 ლარით - ზემო ქვალონის თემში, საკუჭაოს უბნის გზების მოხრეშვის სამუშაოების ასიგნება; 1084,12 ლარით - ზემო ქვალონის თემში, საკუჭავოს უბნის გზების მოხრეშვის სამუშაოების ასიგნება; 628,76 ლარით - ზემო ქვალონის თემში, სოფელ სახოჭოლავოში გზების მოხრეშის სამუშაოების ასიგნება; 741,2 ლარით - ზემო ქვალონის თემის ადმინისტრაციული ცენტრისა და საბავშვო ბაღის შემოკავების სამუშაოების ასიგნება; 1834,96 ლარით - სოფელ ძველი ხიბულის საჯაკონიოს უბნის გზების მოხრეშვის სამუშაოების ასიგნება; 488,62 ლარით - ძველი ხიბულის საჯაკონიოს უბანში მილხიდის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 5141 ლარით - შუა ხორგის სკოლის სპორტული დარბაზის სარემონტო სამუშაოების ასიგნება; 42 ლარით - შუა ხორგის სკოლის სპორტული დარბაზის სარემონტო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ასიგნება; 757,88 ლარით - ბიის თემის ცენტრში წისქვილის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 543 ლარით - ბიის თემის ცენტრში რუსთაველის ქუჩაზე წყალსადენის მაგისტრალის რეაბილიტაციის სამუშაოების ასიგნება; 561,81 ლარით - ბიის თემის ცენტრში მოსაცდელის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 201,06 ლარით - ბიის თემში, საშონიოს უბანში ცხაურის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 498,24 ლარით - ბიის თემში, საშონიოს უბანში სასაფლაოს მისასვლელი გზის შეკეთების სამუშაოების ასიგნება; 2287,97 ლარით - ბიის თემში, საშონიოს უბანში სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაციის სამუშაოების ასიგნება; 1518 ლარით - ნოჯიხევისა და ბიის დამაკავშირებელ გზაზე მილხიდის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 2004,3 ლარით - ახალი ხიბულის თემის ცენტრში ბუნებრივსაფარიანი მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 10 ლარით - ახალი ხიბულის თემის ცენტრში ბუნებრივსაფარიანი მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ასიგნება; 115,65 ლარით - ახალი ხიბულის თემში, სოფელ გაშფერდში კალათბურთისა და ფრენბურთის სტადიონის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 10 ლარით - ახალი ხიბულის თემში, სოფელ გაშფერდში კალათბურთისა და ფრენბურთის სტადიონის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ასიგნება; 2211,67 ლარით - ახალი ხიბულის თემში, სოფელ ზუბში წყალსადენის რეაბილიტაციის სამუშაოების ასიგნება; 20 ლარით - ახალი ხიბულის თემში, სოფელ ზუბში წყალსადენის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ასიგნება; 1160 ლარით - ქარიატის თემში, სოფელ გაღმა ქარიატის შიდა სასოფლო გზების მოხრეშვის სამუშაოების ასიგნება; 70 ლარით - ქარიატის თემში, სოფელ გაღმა ქარიატაში ჭაბურღილის ძრავის შეძენისა და მონტაჟის სამუშაოების ასიგნება; 2357,5 ლარით - ქარიატის თემში, სოფელ გამოღმა ქარიატის საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოების ასიგნება; 218 ლარით -

ქარიატის თემში, ხიდზე ლამპიონის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 23,06 ლარით - სოფელ პირველი ხორგის სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოების ასიგნება; 13,14 ლარით - სოფელ პირველ ხორგაში მოსაცდელის სარეაბილიტაციო სამუშაოების ასიგნება; 77,06 ლარით - სოფელ პირველი ხორგის შიდა სასოფლო გზების მოხრეშვის სამუშაოების ასიგნება; 1202 ლარით - სოფელ ყულევის შიდა სასოფლო გზის მოხრეშვითი და გზის გასწვრივ ოთხი მილხიდის ჩალაგების სამუშაოების ასიგნება; 527 ლარით - პირველი მაისის თემში, სალომაიოს უბანში ხიდ-ბოგირის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 2540 ლარით - ხამისკურის თემში, სოფელ საკუკავოში მილხიდის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 100 ლარით - ქ. ხობში თაყაიშვილის ქუჩიდან სპორტის ქუჩის გადაკვეთაზე არსებული არხის მოწყობის (მილხიდის ჩალაგებით) სამუშაოების ასიგნება; 350 ლარით - ქ. ხობში ცოტნე დადიანისა და სტალინის ქუჩებს შორის მონაკვეთზე არსებული არხის ამოწმენდის სამუშაოების ასიგნება; 770 ლარით - ნოჯიხევის თემში, ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის ტერიტორიაზე არხის ამოწმენდის სამუშაოების ასიგნება; 760 ლარით - პირველი მაისის თემში, სოფელ საკვიკვინიოში ნაპირგამაგრების სამუშაოების ასიგნება; 200 ლარით - სოფელ პატარა ფოთის N4 უბანში საჭოჭუოს საზღვართან დამბის ამაღლების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ასიგნება; 240 ლარით - სოფელ პატარა ფოთში ორ დაზიანებულ უბანზე დამბის ამაღლების სამუშაოების ასიგნება (თითოეული - 120 ლარის ოდენობით); 460 ლარით - სოფელ პატარა ფოთის N4 უბანში დაზიანებული დამბის აღდგენის სამუშაოების ასიგნება; 460 ლარით - პირველო მაისის თემში ბონდის ხიდის აღდგენის (ნაპირგამაგრებით) სამუშაოების ასიგნება; 3000 ლარით - მეგრული სიმღერების ფესტივალზე საინფორმაციო ბუკლეტის გამოშვების ხარჯების ასიგნება; 300 ლარით - მეგრული სიმღერების ფესტივალზე საინფორმაციო ბუკლეტის გამოშვების ხარჯების ასიგნება; 14450 ლარით - კომპიუტერული ქსელის, ვიდეო სისტემისა და IP სადგურის მონტაჟისა და ინსტალაციის სამუშაოების ასიგნება; 1540 ლარით - გერბების დამზადების ასიგნება;

ბ) განკარგულების პირველ დანართში გადიდდეს: 1040 ლარით - 470 ლიტრი ბენზინის შეძენის ასიგნება; 78 ლარით - ჟურნალ „ტაბულას“ გამოწერის ასიგნება; 300 ლარით - საახალწლო მისალოცების ბეჭდვის ასიგნება; 375 ლარით - 15 ცალი ბეჭდის დამზადების ასიგნება; 30 ლარით - 2 შეკვრა შტრიხ-კოდის შემცველი ეტიკეტის შეძენის ასიგნება; 60 ლარით - 1 ცალი ფაქსიმილიეს შტამპის დამზადების ასიგნება; 300 ლარით - 5 ცალი ფლეშმეხსიერების შეძენის ასიგნება; 160 ლარით - 8 ცალი ავტომატური ამომრთველის შეძენის ასიგნება; 88 ლარით - 8 ცალი კოაქსიური შემაერთებლის (ჩამჭერის) შეძენის ასიგნება; 150 ლარით - 5 ცალი ტელეფონის აპარატის შეძენის ასიგნება; 120 ლარით - ავტომობილის სათადარიგო ნაწილების შეძენის ასიგნება; 160 ლარით - 1 ცალი შტრიხ-კოდების წამკითხავი მოწყობილობის შეძენის ასიგნება; 260 ლარით - 13 ცალი სამაგიდო დროშის შეკერვის ასიგნება; 400 ლარით - 1 ცალი მოსაბრუნებელი სავარძლის შეძენის ასიგნება; 400 ლარით - 1 ცალი საშობაო ნაძვის ხის შეძენის ასიგნება; 250 ლარით - 1 ცალი კარადის დამზადების ასიგნება; 250 ლარით - 1 ცალი მაგიდის დამზადების ასიგნება; 300 ლარით - 1 ცალი კარადის გადაკეთების ასიგნება; 165 ლარით - 115 მეტრი კაბელის შეძენის ასიგნება; 30 ლარით - 2 ცალი მრიცხველის ყუთის შეძენის ასიგნება; 23800 ლარით - ჭალადიდის თემში გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობის გარე მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის დამატებითი სამუშაოების ასიგნება; 1850 ლარით - ჭალადიდის თემში ხელოვნურსაფარიანი მინი სპორტული მოედნის რაებილიტაციის სამუშაოების ასიგნება; 4800 ლარით - ქ. ხობში ცოტნე დადიანის ქუჩაზე არსებულ პარკებსა და სკვერებში დაბალი განათების მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 1050 ლარით - ქ. ხობში ცოტნე დადიანის ქუჩის N195 საცხოვრებელი სახლის ფასადის კეთილმოწყობის სამუშაოების ასიგნება; 2850 ლარით - პირველი მაისის სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაციის სამუშაოების ასიგნება; 300 ლარით - შტრიხ-კოდებით ინვენტარიზაციის პროგრამის შეძენის ასიგნება; 30 ლარით - ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ასიგნება; 350 ლარით - წერილებთან დაკავშირებული საფოსტო მომსახურების ასიგნება; 700 ლარით - ჭალადიდის თემში გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობის გარე მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის დამატებითი სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ასიგნება; 1295 ლარით - ბეჭდვითი მომსახურების ასიგნება; 200 ლარით - სატელევიზიო მომსახურების ასიგნება; 1500 ლარით - 10 ცალი დროშის შეკერვის ასიგნება; 900

ლარით - 6 ცალი დროშის სადგამის შეძენის ასიგნება; 400 ლარით - 20 ვიმპელის შეძენის ასიგნება; 4400 ლარით - 2 ცალი გერბის დამზადების ასიგნება; 1972 ლარით - საგვიჩიოს ცენტრალური სტადიონის კეთილმოწყობის სამუშაოების ასიგნება; 80 ლარით - სოფელ საგვიჩიოს ცენტრალური სტადიონის კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ასიგნება; 2929,84 ლარით - ქვემო ქვალონის თემში, სოფელ გვიმარონში წყლის ტუმბოს შეძენისა და დამონტაჟების სამუშაოების ასიგნება; 137,7 ლარით - ქვემო ქვალონის თემში, სოფელ გვიმარონში წყლის ტუმბოს შეძენისა და დამონტაჟების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ასიგნება; 4257,07 ლარით - ქვემო ქვალონის თემში, სოფელ დურღენაში წერეთლის ქუჩაზე წყალსადენი მილების რეაბილიტაციის სამუშაოების ასიგნება; 200,08 ლარით - ქვემო ქვალონის თემში, სოფელ დურღენაში წერეთლის ქუჩაზე წყალსადენი მილების რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ასიგნება; 4784,86 ლარით - ქვემო ქვალონის თემში, სოფელ ჭითაუშქურში ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 160 ლარით - ქვემო ქვალონის თემში, სოფელ ჭითაუშქურში ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ასიგნება; 9471 ლარით - სოფელ პატარა ფოთში გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოების ასიგნება; 390 ლარით - სოფელ პატარა ფოთში გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ასიგნება; 3214 ლარით - სოფელ შავღელეში წყალსადენის შიდა ქსელის კეთილმოწყობის სამუშაოების ასიგნება; 130 ლარით - სოფელ შავღელეში წყალსადენის შიდა ქსელის კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ასიგნება; 1749,3 ლარით - სოფელ გურიფულის I უბანში სტადიონის კეთილმოწყობის სამუშაოების ასიგნება; 70 ლარით - სოფელ გურიფულის I უბანში სტადიონის კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ასიგნება; 2398,05 ლარით - სოფელ გურიფულის II უბანში საყანე გზაზე მილხიდების მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 100 ლარით - სოფელ გურიფულის II უბანში საყანე გზაზე მილხიდების მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ასიგნება; 2341,98 ლარით - ახალსოფლის თემში, სოფელ გაღმა პირველ ხორგაში სპორტული მოედნის შემოღობვის სამუშაოების ასიგნება; 90 ლარით - ახალსოფლის თემში, სოფელ გაღმა პირველ ხორგაში სპორტული მოედნის შემოღობვის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ასიგნება; 6085 ლარით - ჭალადიდის თემში, სოფელ საბაჟოში სანიაღვრე არხების ამოწმენდის სამუშაოების ასიგნება; 250 ლარით - ჭალადიდის თემში, სოფელ საბაჟოში სანიაღვრე არხების ამოწმენდის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ასიგნება; 2890 ლარით - ნოჯიხევის თემში, სოფელ ნოჯიხევში მილხიდის რეაბილიტაციის სამუშაოების ასიგნება; 110 ლარით - ნოჯიხევის თემში, სოფელ ნოჯიხევში მილხიდის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ასიგნება; 5267,35 ლარით - ნოჯიხევის თემში, სოფელ ნოჯიხევში გზების მოხრეშვის სამუშაოების ასიგნება; 200 ლარით - ნოჯიხევის თემში, სოფელ ნოჯიხევში გზების მოხრეშვის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ასიგნება; 3633 ლარით - ნოჯიხევის თემში, სოფელ დასახლებაში წყალსადენის რეაბილიტაციის სამუშაოების ასიგნება; 170 ლარით - ნოჯიხევის თემში, სოფელ დასახლებაში წყალსადენის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ასიგნება; 5609,28 ლარით - ხეთის თემში, სოფელ ლარჩვაში საბავშვო ბაღის ნაწილობრივი რემონტის სამუშაოების ასიგნება; 255,4 ლარით - ხეთის თემში, სოფელ ლარჩვაში საბავშვო ბაღის ნაწილობრივი რემონტის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ასიგნება; 2920 ლარით - ხეთის თემში, სოფელ ლარჩვაში საბავშვო ბაღის წყალმომარაგების მოწესრიგების სამუშაოების ასიგნება; 120 ლარით - ხეთის თემში, სოფელ ლარჩვაში საბავშვო ბაღის წყალმომარაგების მოწესრიგების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ასიგნება; 1358,24 ლარით - პირველი მაისის თემში, სოფელ ჭიხუში ეკლესიის კიბესთან მისასვლელის კეთილმოწყობის სამუშაოების ასიგნება; 50 ლარით - პირველი მაისის თემში, სოფელ ჭიხუში ეკლესიის კიბესთან მისასვლელის კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ასიგნება; 1629 ლარით - საჯიჯაოს თემში, სოფელ ზენში ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოების ასიგნება; 70 ლარით - საჯიჯაოს თემში, სოფელ ზენში ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ასიგნება; 3840 ლარით - საჯიჯაოს თემში, სოფელ ზენში გზის მოხრეშვის სამუშაოების ასიგნება; 160 ლარით - საჯიჯაოს თემში, სოფელ

